



BAKI BEYNƏLXALQ
MULTİKULTURALİZM MƏRKƏZİ
BAKU INTERNATIONAL MULTICULTURALISM CENTRE

მთავარი რედაქტორი:

ქამალ აბდულა

ბაქოს საერთაშორისო მულტიკულტურალიზმის ცენტრის თანამდგომთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი

სარედაქციო კოლეგია

ისა ჰაბიბლი (*აკადემიკოსი*), აზად მამედოვი (*პროფესორი*),
ასიფ ჰაჯიევი (*პროფესორი*), თქთაი სამადოვი (*დოცენტი*),
თელმან ქაჯუმივი (*დოცენტი*), გიმეთ რუსტამოვი,
სერრაფ ჰუსეინოვი, რეგან ჰასანოვი

ქართული გამოცემისათვის პასუხისმგებელია:

დავით ზურაბის ძე გოცერძე

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსისტიკის ინსტიტუტის
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*

ტექნიკური რედაქტორი

ალიშ მირზალი

*წიგნის გარეკანის უკანა მხარეს გამოყენებულია აზერბაიჯანელი
სკულპტორის გორუშ ბაბაევის "დედე გორგუდის" მოტივებზე
შესრულებული სკულპტურული ნამუშევრების
ფოტო-სურათები
ფოტოგრაფი: აჰმედ მუსთაროვი*

ISBN: 978-9952-28-265-8

© BIMC, 2015



“დედე გორგუდის წიგნის” გერმანულ ენაზე პირველი თარგმანისა და გამოცემის 200 წლისთავის აღნიშვნის თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებულ დონისძიებათა გეგმის შესაბამისად ბაქოს საერთაშორისო მულტიკულტურალიზმის ცენტრი 25 ენაზე წარმოგიდგინო:

აზერბაიჯანული	არაბული	ხინალიგური	ლექური	თურქული
ბერძნული	გერმანული	სპარსული	ვენგრული	უდინური
აგარული	ფრანგული	ინგლისური	რუსული	უკრაინული
ჩინური	ქართული	იტალიანური	თალიშური	იაპონური
სომხური	ინდური	ქურთული	თათური	ებრაული

*მომავალში გათვალისწინებულია ამ წიგნის ესპანურ, პორტუგალიურ, ინდონეზიურ, ჰოლანდიურ, პოლონურ, ჩეხურ, ბულგარულ და სვხა ენებზე გამოცემა.



“დედე გორგუდის წიგნის” გერმანულ ენაზე პირველი თარგ- მანისა და გამოცემის აღნიშვნის თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის

განკარგულება

2015 წელს 200 წელი სრულდება, რაც გერმანელმა მეცნიერმა და აღმოსავლეთმცოდნემ ფრიდრიხ ფონ დიცმა აღმოაჩინა, გამოაქვეყნა და მსოფლიო სამეცნიერო სამყაროს გააცნო “დედე გორგუდის წიგნი”, - ძეგლი, რომელსაც აზერბაიჯანელი წაღისის კულტურულ საგანძურთა საუნჯეში განსაკუთრებული ადგილი უკავია და რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთგულ-სულიერი თვითმყოფადობის განუყოფელ შემაღვენელ ნაწილად იქცა.

განვლილ პერიოდში “დედე გორგუდის” ეპოსებთან დაკავშირებით მრავალი გამოკვლევა იქნა დაწერილი და გორგუდოლოგიის, როგორც ცალკე სფეროს ჩამოყალიბების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 2000 წელს იუნესკოს ეგიდით საერთაშორისო დონეზე საზეიმოდ აღინიშნა “დედე გორგუდის წიგნის” 1300 წლისთავის იუბილე, და ეს, აღნიშნული ძეგლის კვლევის ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისად იქცა.

ერთგულ-კულტურული მეკვიდრეობის დაცვა-განვითარებასა და მომავალი თაობების აზერბაიჯანული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში “დედე გორგუდის” ეპოსთა უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებითა და აგრეთვე გორგუდოლოგიის თანმიმდევრული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით გსქელმძღვანელობ რა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 109-ე მუხლის 32-ე აბზაცით გბრძანებ:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრომ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ და აზერბაიჯანის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიამ, ბაქოს საერთაშორისო მულტიკულტურალიზმის ცენტრის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ცოდნის ფონდისა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წინადადებათა გათვალისწინებით ერთობლივად შეიმუშაოს და მოამზადოს გერმანელი მეცნიერის ფრიდრიხ ფონ დიცის მიერ “დედე გორგუდის წიგნის” პირველი თარგმანის, გამოცემისა და მსოფლიო მეცნიერული სამყაროსათვის გაცნობის 200 წლისთავთან დაკავშირებით სამოქმედო პროგრამა და დასამტკიცებლად წარუდგინოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

2. ამ განკარგულებიდან გამომდინარე ყველა საკითხი განახორციელოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა.

ილჰამ ალიევი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ქალაქი ბაქო, 20 თებერვალი 2015 წელი.



ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დოცა

(1751-1817)



ფონ დიცისადმი სიყვარულით...

1815 წელს გამოსჩენილმა გერმანელმა ადმოსავლეთ-მცოდნემა და დიპლომატმა ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცმა გერმანულ ენაზე თარგმნა აზერბაიჯანული (ოღუზური) ეპოსის “დედე ვორგუდის წიგნის” ერთი თავი. ფონ დიცს, როგორც პრუსიის პირველ ელჩს ოსმალეთის სახელმწიფოში მოღვაწეობის პერიოდში მოკრებილ სწავლა-სწავა ხელნაწერთა შორის აღნიშნული ხელნაწერისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. აქ წარმოდგენილი ვმირები და სიუჟეტები მას ძველ ბერძნულ მითებს აგონებდნენ, მითუმეტეს რომ მართლაც, საკმაოდ გვხვდება მზგავსებანი და პარალელები. სწორედ ამიტომ “დედე ვორგუდის” თავებს შორის იგი სათარგმნელად და გამოსაცემად “პასათის მიერ თაფავთზის მოკვლის” თავს ირჩევს. სიუჟეტურ ხაზებს შორის აშკარა პარალელები და მზგავსება, რომელიც ერთის მხრივ ბასათისა და თდისეის, მეორეს მხრივ კი თაფავთზისა და პოლიფემს შორის არსებობს, ფონ დიცს საშუალებას აძლევს, რომ “დედე ვორგუდის”, როგორც ძველი ეპოსის ლიტერატურული გენეოლოგია უძველეს ასწლეულებს დაუკავშიროს.

და ფონ დიცი მისეულ თარგმანს, ღრმა, შედარებით ანალოზზე დაფუძნებულ წინასიტყვაობასთან ერთად ბერლინში აქვეყნებს. ასე და ამგვარად, 1815 წელს “დედე ვორგუდის წიგნის”, როგორც ოღუზური ეპოსის მხოფლით მეცნიერება-

ში წარდგინება ხდება. შექმდომში იტალიელი, რუსი, თურქი, ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი და აზერბაიჯანელი მეცნიერები იღებენ რა ესთაფეტას ფონ დაცისაგან, ფართო, ღრმააწროვან, მდიდარ და მრავალწახნაგა გონგუდლოლოგიის სამყაროს ქმნიან. იქიდან მოყოლებული 200 წელი გადის.

2015 წლის 20 თებერვალს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ამ დირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანეს განკარგულებას მოაწერა ხელი. აღნიშნული განკარგულება განხლდათ დედე გონგუდის შემკვიდრეების მიერ პატივისცემისა და მადლიერების გრძნობის პოლიტიკური გამონატულება ფონ დაცის მიმართ, რომელიც ცნობილი აღმისავლეთმცოდნე და XIX საუკუნის გერმანული ფილოლოგიის რომანტიზმის ფრთის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელითაგანია. ასე რომ 2015 წელი არამარტო აზერბაიჯანისათვის, არამედ მსოფლიო ფილოლოგიისა და გონგუდლოლოგიის ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

წიგნში, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, შესილია 1815 წელს ფონ დაცის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა და “დედე გონგუდის” 12 თავთაგან ფონ დაცისავე შერჩეული თავი, სადაც მოთხრობილია “მასათის მიერ თაფავოზის მოკვლის ამბავი”. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინური გამოცემიდან 200 წელი გადის, დღესაც აქტუალურია გერმანელი მეცნიერის მაღალი შეფასება, რომელსაც იგი “დედე გონგუდის წიგნს” მაგალითზე აზერბაიჯანელი ხალხის სულიერ პოტენციალის აძლევს. დღეს ჩვენ გვიხარია და გამაყობთ, რომ მსოფლიოს წამყვან ენებზე ქვეყნდება ფონ დაცის ფასდაუდებელი წინასიტყვაობა და ერთი მონაკვეთი ეპოსისა, რომელიც საკაცობრიო ფასეულობათა სისტემის შემადგენელი ნაწილია. დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი, რომელიც ბაქოს საერთაშორისო

მულტიკულტურალიზმის ძაღისხმევით მომზადდა, მიუხედავად რელიგიური კუთვნილობისა, ისევე აღაფრთოვანებს ნებისმიერ მკითხველს, როგორც 200 წლის წინ ფონ დიცი აღაფრთოვანა.

დიდი მეცნიერი თავის შესავალ სიტყვას - “ჰომეროსის ციკლოპთან შედარებით ანლად აღმოჩენილი თღუწური ციკლოპი” - ამ სიტყვებით ამთავრებდა: “ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ამით გარჯად. იმისათვის, რომ ნათელი შეგვაქს წარსულ ბუნდოვანებაში, თდანავ მაინც მადლიერნი იქნებიან ისინი, ვინც მომავალში ამ ნაშრომით ისარგებლებენ” ასეც მონდა.

ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიციხა და ყველა გორგუდოლოგი-სადმი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით,

ქამალ აბდულოლა

ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცი

ჰომეროსის ციკლოპთან
შედარებით ახლად
აღმოჩენილი ოლუზური
ციკლოპი

დედე გორგუდის წიგნი.
ბასათის მიერ თაფაგოზის
მოკვლის ამბავი

ბერლინი - 1815 / ბაქო - 2015



**ჰომეროსის ციკლოპთან
შედარებით ანლად აღმოჩენილი
ოდუზური ციკლოპი**

საიდუმლო მისიის მრჩეველისა და
პრელატის ჰეინრიხ ფრიდრიხ
ფონ დიცისაგან

ჰალე და ბერლინი, 1815.

ჰალეს ობოლთა თავშესაფრის
ბიბლიოთეკის კომისიაში



თაფაგოზი, თუ ოღუზური ციკლოპი

თათრულ-თურქულ ინაზე

1. იმ სელნაწერის თაფურცელზე, რომელსაც ეს სახელწოდება მიეკუთნება, ასე ეწერა:

کتاب سوره قورقوس علی لسان طایفه آوغوزان

ეს ნიშნავს “დედე გორგუდის (მამა გორგუდი - ი.მ.) წიგნი ოღუზი ხალხის ენაზე”. ეს ნაწილი, რომელიც პატარა ფოლიანდშია, ჩემს სკლთ არსებულ აღმოსავლურ სელნაწერთა შორის სიით 61-ეა. აღნიშნული სელნაწერი, რომელიც დრეზდენის სამეფო წიგნთსაცავში ინახება, უმნიშვნელო შეცდომების მიუხედავად, მთლიანობაში ჩემს სკლთ არსებულის (*მოგონებები პაულუსის შესახებ. IV ნაწილი. გვ. 13 N86*) იდენტურია.

2. იმის გამო, რომ სათაური არ გამოხატავს წიგნის შინაარსს და უბრალოდ უცნობი ავტორის ვინაობაზე

მიანიშნავს, შეიძლება გარკვეული სიძნელე შექმნას, ამიტომაც აუცილებელია, იგი მკითხველს უფრო ახლოს გაგაცნოთ.

3. მოკლე შესავალში ვკითხულობთ:

ღვთის მოციქულის (მაჰმადის სულს მშვიდობა და ღვთის წყალობა) ეპოქის სიბნელოვან ერთ-ერთ ოჯახში დაბადდა შემდგომში გორგუდ ათად (ათად-დედეს სინონიმი) წოდებული ბიროგნება, რომელიც ოღუზთა შტოს კარგად იცნობდა. ის რასაც იტყვოდა, სრულდებოდა, მომავალს წინასწარმეტყველებდა. უფალი მის გულის შთაგონებით აღავსებდა.

გორგუდ ათა ასე იტყვოდა: ბოლო უამს სჯელისუფლება კვლავ გაიას გადაეცემა და მას ამას გედარავინ დაათმობინებს. აქ იგულისხმება დღევანდელი ოსმალის ტომის სჯელმწიფება, რომელიც იყო და იქნება ბოლო უამამდე, ანუ განკითხვის დღემდე.

მან ამდაგვარი სწავაც მრავალი რამ იწინასწარმეტყველა. ოღუზის ყველა ძნელადმოსავარებელ საქმეებს სწორედ გორგუდ ათა წყვეტდა. რასაც იგი მოიხურვებდა, უცილოდ ახდებოდა: გორგუდ ათას რჩევა-დარიგების გარეშე არაფერს აკეთებდნენ. რასაც ის იტყვოდა, კვერს უკრავდნენ, მის სიტყვას ყაბულდებოდნენ და მისი მოწოდების შესაბამისად ცხოვრობდნენ.

4. ოსმალის ტომზე მინიშებიდან ნათლად ჩანს, რომ ეს შესავალი ოსმალური დინასტიის ჩამოყალიბების შემდეგაა დაწერილი. მაგრამ ამ შემთხვევაში დედე

გორგუდი როგორ შეიძლება მიგაკუთნოთ მაჰმადის ებრა-
ქას, რომელიც წინ უსწრებდა ოსმალური დინასტიის
ჩამოყალიბებას: მე ჩემს წიგნში “ოღუზნამე” აქედან
გამომდინარე ერთი ჭეშმარიტება წამოვაცენე, რაც იმაში
მდგომარეობს, რომ ოგი 9-ე საუკუნეზე ადრე ვერ იქნე-
ბოდა. თუმცა მანამ სანამ შინაარსის შესახებ ვიტყვოდე,
იმ საკითხებზე ვისაუბრებ, რომლებიც წინააღმდეგობაში
მოდის აღნიშნულ თვალსაზრისთან.

5. რაც შეეხება შესავალს, ოგი დედე გორგუდის
რჩევა-დარიგებებისაგან შესდგება. პირველი ასეა: ღმერ-
ის თუ არ მოუხმე, საქმე სწორად არ წავიგა. ამათ
(რჩევა-დარიგებებს) დაახლოვებით გვერდნახევარი ეთ-
მობათ ჩემს სკლთ არსებულ სელნაწერში. როგორც
ჩანს, თუ ყველა არა, რჩევა-დარიგებათა დიდი ნაწილი, ეს
როგორც “ოღუზნამეშია”, აქაც შესამე პირის მეშვეობით
ანალოგიურადაა ჩამატებული.

6. “დედე გორგუდის წიგნის” ძირითადი დასაწყისი
მხოლოდ მეორე გვერდის პირველი წინადადება შეი-
ძლება იყოს.

დედე გორგუდმა ბრძანა და ნახე, ხანო ჩემო, რა
ბრძანა: როს სიტყვას ვიტყვი, მაღალ და ყოვლისშემძლე
ალაჰს ვადიდებ.

7. დედე გორგუდი ალაჰის სადიდებლის შემდეგ
მაჰმადისა და ალის სოტბა-დიდებაზე ვადადის. მაჰმა-
დიანების ყველა წიგნში, როგორც წესი, ასე ხდება.
მხოლოდ ის ავტორები, რომლებიც სპარსულ კონფესიას

არ განეკუთნებიან, მაჰმადის თჯანსა და მის მიმდევართ
ისე ლოცავენ, რომ ზალიფა აღის სახელს არ ახსენებენ.

აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ინცი-
ტორი, ანდა შემდგენელი არც ჰანაფი ყოფილა და არც
ოსმალთ. რაც შეეხება დედე გორგუდს, როგორც ჩემს
“თღუზნამეში” ავღნიშნე, უფრო ლოგიკური იქნებოდა
გვეფიქრა, რომ იგი იმ კონფესიას განეკუთნებოდა, რომე-
ლსაც სპარსელები წარმოადქენენ. (*ახლაშის შიიტური
ფართა ი.შ.*).

8. ამგვარ ქებათა შემდეგ 2-ე გვერდზე სერიოზული
ოზანის მიერ ჩამოთვლილია ქალთა თავისებურებანი,
რომელიც განსაკუთრებული სათაურითა გამოყოფილი
და რიგი შენიშვნებით 3-ე გვერდამდე გრძელდება.

9. ამის შემდეგ, ჯერ ბუღაჯ ხანის, შემდეგ კი საღურ
გაზანის სახლის ამბით დაწყებული და ბოლოთ თრ თავში
- XI-ში საღურ გაზანის პატემრობიდან თავდახსნითა
და XII ში გარე თღუზის მიერ შიდა თღუზის შევიწროების
ამბით დამთავრებული, თანმიმდევრობითაა მოცემული
თორმეტი ისტორიული მითხრობა. ველა ამ მითხრო-
ბაში ან თღუზი ხანების საგმირო საქმენი და მათ თავს
დატყნისი უბედურებანი, ანდა შავი ზღვის სანაპიროებზე
უცნობი ბერძნების წინააღმდეგ წარმოებული ომებია
ასახული. არ შეიძლება ეს ინფორმაციები მთლიანობაში
თღუზური ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროდ მი-
ვიჩნოთ. რამეთუ აქ გვხვდება ხსოვნას შელამაზებუ-
ლად შემორჩენილი ამბები, ანდა შეთხზული, განსაკ-
უთრებული სათჯანო მოვლენებები.

10. ავტორის შესახებ საუბრისას, უბიძგულეს ყოვლისა ერთი გარემოება უნდა ავღნიშნო: იმისათვის, რომ მთელ წიგნში სწავდა-სწავა ამბების დროის შესახებ რაიმე კონკრეტული დასკვნა გამოიტანო, არაფითარი დრო-ჟამური განსაზღვრულობა არ არსებობს. ერთი შეხედვით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ყველა ამბავი დედე გორგუდის დროს ხდება. თუმცა იგი თავისი სახელით არაფერს მოგვითხრობს. ის მხოლოდ სწავდა-სწავა მომენტებში რჩევა-დარიგების მისაცემად ჩნდება, ყველაზე მეტად კი მოვლენების ბოლოს გამოჩნდება ხოლმე იმისათვის, რომ ოღუზები დალოცოს. ეს მონაკვეთები კი *ოღუზნამე* იწოდებიან. აღნიშნული ლოცვა-კურთხევა შვიდი სწავდა-სწავა მოთხრობის ბოლოს მეორდება და მათზე დაყრდნობით რაიმე დასკვნის გამოტანა არ ხერხდება.

სიტყვა *ოღუზნამე* აქ არ შეიძლება ითარგმნოს როგორც ოღუზური წიგნი, ან ოღუზთა ისტორია. პირიქით, ეს უნდა განვიხილოთ როგორც ოღუზთა შესახებ დამატებითი წერილი, ან ოღუზებისადმი მიძღვნილი ტექსტი. თვითიული მოთხრობა მთლიან და დასრულებული რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა მისთვის ოღუზური ისტორია გვეწოდებინა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ესა თუ ის ამბავი ხდება, დედე გორგუდის მიერ მისი მესამე პირში თხრობა ყოველთვის ხოტბა-დიდებითა და ლოცვა-კურთხევით იხლუდება. ის, რომ სიტყვა *ოღუზნამე* ხშირ-ხშირად მეორდება, ჩანს, იმას ემსახურება, რომ წიგნს სწორედ ეს

სასკელი ეწოდოს. შეიძლება, წიგნის უწინდელი მფლობელის მიერ გარეკანის შემდეგ სატიტულო გვერდზე ნაწარმოების "გორგუდის წიგნად" დასათაურება იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი ხედავს, დედუ გორგუდი თავისი ლოცვა-კურთხევით მალიმალ ჩნდება. მე კი ჩემი მხრიდან არაერთხელ აღმინიშნავს და დამისაბუთებია, რომ ანლოადმოსავლელები თავიანთ ლიტერატურულ ინფორმაციებში არასოდეს ზუსტნი არ ყოფილან. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ წიგნი შესაძენ უცნობი პირის მიერაა შედგენილი. ამ აზრს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ აქ მოთხრობილი ყველა ამბავი აშკარად სწავდა-სწავა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ეპოქების ნაჟურია. ასე რომ მოვლენები, რომლებიც ასახავენ შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნებთან დაპირისპირებასა და გარე ოღუზების მიერ შედა ოღუზების შევიწროებას, გაცილებით გვიანდელი ამბავია იმ მოვლენებთან შედარებით, რომლებიც ოღუზური მოღმის ფესვებს შეეხება და რომლებიც რამოდენიმე ათასი წლის წინ მოხდა. ამ მოვლენებში კი დედუ გორგუდი მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ეს შეუთავსებლობა ზემოთ ნახსენები შესავლიდანაც ნათლად ჩანს. იმის მაგივრად, რომ დედუ გორგუდმა ბოლო დროინდელი ოღუზები იცნოს, ლაპარაკია მის მიერ პირველი ოღუზების ცნობაზე. არადა ოღუზი ხალხის ისტორიული ძირები სამიათას წლზე მეტს ითვლის.

11. ყოველივე ეს დასტურდება მერვე მოთხრობით, რომელსაც აღნიშნული წიგნიდან ინფორმაციის სახით ვიძლევი. იქ ასე წერია:

ეს ასე იკითხება: “ზასათის მიერ თაფაგოზის მოკვდინების ამბავს გადმოსცემს”. თაფაგოზი წარმოდგენილია როგორც ძლიერი და გიგანტური ჰიროგენება, რომელსაც შუბლზე ერთი თვალი აქვს. სიტყვა-სიტყვით სახელი თაფაგოზი, ანუ კეფათვალიანი (*Scheitel - Auge*) სწორედ ამ თვალის გამო ეწოდა. ეს სწორედ ის არსებაა, რომელსაც ბერძნებთან ციკლოპი ეწოდება, განსაკუთრებით ჰომეროსის მზგავსია და სხვა ციკლოპების შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას გვაძლევს.

12. თუმცა მალე დაგნწმუნდებით, რომ ოღუზური ციკლოპი ბეძნულისაგან კი არა, ბირიქით, ბერძნული ციკლოპია ოღუზურისგან გადმოღებული. თუ ბერძნების ციკლოპი უძველეს დროს განეკუთნება, მაშინ უნდა ითქვას, არც ოღუზებისაა იმდენად გვიანდელი, რომ როგორც აქაა გაყალბებული, დედუ გორგუდის თანამედროვედ იქნას მიჩნეული, რამეთუ აღნიშნულ თავში დედუ გორგუდის მსოლოდ იმიტომ კი არ გზაგნიან თაფაგოზთან, რომ მასთან მოლაპარაკება აწარმოოს და ბოლო მთუდოს ოღუზების წინააღმდეგ შეუდღოს, არამედ იგი აღნიშნულ შემთხვევაში იმიტომაც გამოჩნდება, რომ მას შემდეგ რაც ზასათი თაფაგოზს მოკლავს, მას მწიარული სიმღერები უძღვნას, დალოცოს და სოტბა-დიდება შეასწას. მეორეს მწრივ კი ამ თავის დასაწყისში საუბარია ოღუზ ნანზე, რომელიც ოღუზების წინაპრად გვეკვლინე-

ბა. აგრეთვე სწავ თღუზი ბეკები, განსაკუთრებით კი ციკლოზზე გამარჯვებული ბასათის მამა მოსუცი არუზი წარმოჩენილნი არიან როგორც მისი თანამედროვენი. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დედე გორგუდი უძველეს დროში გადაყვანილია მხოლოდ და მხოლოდ ავტორების სურვილისამებრ. იმის გამო, რომ როგორც თღუზური, ასევე ბერძნული ციკლოზის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მითებისა და ლეგენდების დონეზე არსებობს, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ მათ ერთიანი ისტორიული ძირები გააჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ ამის განმარტება და გააზრება ერთი შეხედვით შეიძლება ძნელიც იყოს.

13. არავითარი საფუძველი არ გააჩნია, ეჭვი შევიტანო იმაში, რომ არსებობდა პიროვნება, რომელსაც დედე გორგუდი ერქვა. თუმცა იგი, როგორც ზემოთმოყვანილი შესავალი, სწავ ფაქტები და თავად თღუზნამეც ადასტურებს, ცნობრობდა შემდეგი თაობის თღუზთა ეპოქაში, რომელთაც სელისუფლება მამათა შემდგომ ჩაიგდეს სელთ. დარწმუნებული ვარ, იგი როგორც ძლიერ ხანდაზმული, გამოცდილებით აღჭურვილი პიროვნება, მართლაც, თღუზების ქვეყანი მრჩეველი და მქნობე იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ მას მეტსახელად პაპა, ანდა მამა (*ხალხის მამა ი.მ.*) შეარქვეს. აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ მას დაგროვილი ჰქონდა მრავალი მამა-პაპეული ინფორმაცია, რომელთაც თავის თანამედროვეებს გადასცემდა, ანდა ახლანდელისგან სრულიად განსწავავებული ფორმით დაუტოვა მომავალს. როგორც

ვიციო, ანდაწები და ძირითადი წეს-ჩვეულებები, რომლებიც მის ხალხში არსებობდა, უპირველესად სწორედ დედუ გორგუდის მიერ იქნა შეგროვებული და ოღუზ-ნამეში აღნუსხილი. თუმცა აღმოსავლელებისთვის დამასასიათებელი ჟამთაღრევის მიუხედავად, დედუ გორგუდის ორიათასი წლის წინანდელი ამბების თანამონაწილედ მიჩნევა, და იმ დროის პიროვნებების თანამედროვედ აღიარება, უბრალოდ, შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული წიგნი მისი წერილობითი გარიანტის, ან წეპირი გადმოცემების საფუძველზე მესამე პირის მიერაა შედგენილი და დედუ გორგუდი მაინც და მაინც მათ დროს თუ არ ცნოვრობდა, ყოველ შემთხვევაში, ხანდაზმულთა მიერ ახალგაზრდებისადმი ბრძენ დამრიგებულად, პატივსაცემ და აღიარებულ პიროვნებად ირაცნებოდა. ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ დედუ გორგუდი არსად თავის-თავზე არ ლაპარაკობს, ყოველთვის ჩნდება როგორც ბრძენი მრჩეველი, ანდა ლოცვა-კურთხევის აღმვლენელი. თუმცა იმან, რომ ნამდვილი ავტორისა და შემდგენელის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია, წიგნის სიძველე ეჭვ ქვეშ არ უნდა დააყენოს. ამის დასასაბუთებლად, სულ ცოტა, ერთი რამ შემიძლია ვთქვა: საკმარისია თვალი გადავაგვლოთ ოსმალთა ისტორიის სარბიელზე გამოჩენას და ყველაფერი ნათელი გახდება.

ეს მხოლოდ თათრულ-თურქული ენების აღრევით კი არა, ავტორის სტილის უღირღელობითა და მოუქნელობითაც მტკიცდება. ასე რომ, თრივე ეს (სტილის უღირღელობა და მოუქნელობა) ოსმალთს იმპერიამდელი ენობრივი მდგომარეობაა. პირველი ფურცლის მეორე

გვერდზე ვინმე ოსმალის მიერ ამგვარი დასათაურება, ვიმედოვნებ, უფრო ნათელს გახდის ჩემს მსჯელობას ოღუზური ენის შესახებ.

14. ეს სწვა არაფერია, თუ არა ოღუზნამკს შესაგაღში ჩემს მიერ დახასიათებული თათრულ-თურქული ენა. *“მოვთხრობები აზიაზე” I ტომი, გვ. 165-166.* ოღუზები იმთავითვე თურქებისა და თათრების ერთიანობის (შერწყმის) შედეგად ჩამოყალიბებული ხალხია, რადგანაც მოგოლის შვილიშვილი ოღუზ ხანი ორივე მათგანს თავისი ხელისუფლების ქვეშ აერთიანებდა. *(ევე, გვ. 158).*

ოღუზის სიკვდილიდან დიდი ხნის განმავლობაში, ეჭვგარეშეა, მის ხალხებში მრავალი ცვლილება მოხდა, მათი ერთი ნაწილისაგან ახალი ხალხები წარმოიშვა, ნაწილმა კი სახელი შეიცვალა, რამაც შემდგომში ახალი დიალექტების ჩამოყალიბება განაპირობა. თუმცა ოღუზთა შთამომავლობის სწორნაზოვანი განვითარებაც არსებობს. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ოღუზთა სახელს ამოფარებულნი თავიანთ ენას იცავდნენ და თავიდან-თავიდან გადასცემდნენ. ასე რომ აქ საუბარია ოსმალური დინასტიის ფუძემდებლის ოსმან I-ის მამის ართოდრულის ხანამდელ პერიოდზე. ამის დასასაბუთებლად ბიზანტიელ ისტორიკოსებზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ მათი პირველ ხელისუფალთა კვალი მიდის დუზ ალფამდე, რომელიც უშუალოდ ოღუზთა შტოს განეკუთნება. მისი ვაჟი ოღუზ ალფი (სწვანაირად მას სულეიმანსაც უწოდებენ) ბერძნებთან ბრძოლის შედეგად მცირე დროის მონაკვეთში ძლიერი ხელისუფლების

მფლობელი გახდა. ოლუზი ალფის ვაჟის ართოდრულის დროს ოლუზებმა თავრიის (ყირიმის) შიგნით ბევრი მიწები დაიპყრეს. ბოლოს მისმა ვაჟმა ოსმანმა დინასტიას თავის სახელი უწოდა. (*შორიტერი პიპულარული მოგონებები 3-ე ტომი, გვ. 531-533.*) ამასვე შეესაბამება დეკუგენის მასალა, რომელიც მან აღმოსაფლელეებში შეკრიბა. იგი ამტკიცებს, რომ გუზები, რომელთაც თურქმენები ეწოდება, იგივე ოლუზები არიან, მათგან რამდენიმე ჯგუფი ევროპაში გადასულა და იქ უზებად წოდებულან. ალბათ ეს უზები უზის ქვეყნიდან ჩამოვიდნენ და ბიზანტიელების მიერ შევიწროებულ და განდევნილ იქნენ კავკასიის მიმართულებით. *შორიტერი, 3-ე ტომი, გვ. 807.* თავის მხრივ იმ თურქმენებს სელჯუკები წორთსნიდან გაუძევებათ და იქ თავად დამკვიდრებულან.

ამის შემდეგ გადასახლების 611-ე წელს (*1214 ქრისტ.*) მათ შაჰ სულეიმანის მეთაურობით, რომელიც ზემოთ მოხსენიებული ოსმან 1-ის პაპა იყო, მცირე აზიაში პირველი სამხედრო ლაშქრობა მოუწყიათ. თუმცა მონღოლების მიერ დამარცხებულებს გეზი აზერბაიჯანისაკენ აუღიათ. იმავე შაჰ სულეიმანმა 616 (*1219 ქრისტ.*) წელს 5 ათასიანი ჯარით კვლავ შეუტია მცირე აზიას და ფერედში გარდაიცვალა კიდევ. ამ პერიოდისათვის მის ვაჟს ართოდრულს სელჯუკთა ქვეყანაში, რომელსაც იქონიუმი ეწოდებოდა, სელისუფლება გაეძლიერებინა. იგი გარდაიცვალა 680, თუ 687 წელს (*1281-1287 ქრისტ.*) რის შემდეგაც მისი ვაჟი ოსმან 1 ტანტის მემ-

კვიდრე გახდა. *დე გუინეს- ჰუნებისა და თურქების ისტორია, 4-ე ტომი, გვ. 353.* ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ართოდრულმა ოღუზური ენა იქონიუშში – სელჯუკთა ქვეყანაში ჩამოიტანა. თუმცა ჩემმა ყოფილმა მეგობრებმა რაისმა და რაშიდ ეფენდიმ, რომლებიც კარგი ისტორიკოსები არიან, ერთხელ საუბრისას დამარწმუნეს, რომ როცა ოსმანმა მონარქიის გაძლიერების მიზნით დაპყრობითი ომები წამოიწყო, მის ირგვლივ სულ 2000 თურქმენი, ანუ ოღუზი იყო. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ოღუზური ენა გაბატონებულ ენად გერ დარჩებოდა, რადგანაც მცირე აზიაში გაბატონებული იყო სელჯუკთა ენა, რომელსაც თურქული ენა ეწოდებოდა. მიუხედავად ამისა, აქაურები ორივე ენაზე, თურქულადაც და ოღუზურადაც ერთმანეთს მშვენივრად უგებდნენ, ისევე, როგორც დღეს რუსები და პოლონელები ადვილად ურთიერთობენ. ასე და ამგვარად ოღუზური ენის ფაქტორი თავისთავად იკარგება და მის ადგილს ოსმალებისთვის თურქული ენა იკავებს.

როგორც ოსმანმა უწოდა თავისი სახელი თავის ქვეშეურდომებსა და თავის მეშვედრეთა მფლობელობაში მყოფ სხვადასხვა ხალხებს, ასევე თავის დროზე თურქმენეთიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა ოჯახმა, რომელსაც სელჯუკი ეწოდებოდა, აქ მოხსენიებულ ტომთა ბელადების ძარცვის მიზნით თავისი სახელი თავისდავე ტომს დაარქვა. თუ საუბარია აღნიშნული წიგნის დაწერის თარიღზე, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ იმ ეპოქის

პირობები და გაბედულად ვთქვათ, იგი ოსმან პირველზე ვაცილებით ადრე უნდა დაწერილიყო.

15. როცა ახლოს გაეცნობით მოთხრობას, რომელიც ამ სტატიის თემა განლაგეთ, ოქსუსის ქვეყანას იქით — აზიის დასავლეთით ოღუზებს შორის მობინადრე ციკლოპს ნახეთ, ციკლოპს, რომელიც დღემდე მხოლოდ ძველი ბერძნების აზროვნებასა და მითებში გვიძიებია და გვიანახავს. და ეს ყველას გააოცებს.

16. ბერძნები ციკლოპის სამ სასკობაზე მოგვითხრობენ, რომელსაც შუბლზე დიდრონი, მრგვალი და მობრიალე თვალი აქვს. მათ ეს სასკელი სწორედ იმ თვალის წყალობით აქვთ მოპოვებული, რომელიც შუბლზე უბრიალებთ. როგორც პოლიფემს შეუძლია 200 ფუნტის სიგრძის ყველაზე დიდი ვუთანი ხელით ატაროს, საგულისხმოა, რომ მათაც ვიგანტურ ბაყ-ბაყ მდეგებივით წარმოგვიდგენენ. მათ ასევე წარმოგვისანახვენ როგორც გელურ და ავ ადამიანებს, რომელთათვისაც არც კანონი არსებობს, არც ადათ-წესები და არც რელიგია. სწორედ ამიტომ წარმოიშვა გამთიქმა: წიკლოპური ცხოვრება. ეს არის იმ თავისებურებათა ჯამი, რომელიც ყველა ციკლოპს ერთნაირად მიეწერება.

17. ციკლოპთა პირველ ტიპს არგოს, ბრონტესი და სტეროპესი განეკუთნებიან. ამბობენ, რომ ესენი სალუსმა თავის ქალთან და დედამიწასთან ერთად შექმნა. ესენი ღმერთები არ იყვნენ, მაგრამ ღმერთთა მაგვარ არსებებად ითვლებოდნენ. ერთხელ ისინი მამამ-სა-

ლოსმა შებორკა და ჯოჯოსკოში ჩაყარა. თუმცა შეპყრობილნი იუპიტერმა გაათავისუფლა, რათა მისთვის ბელემნითი (მუნის ქვა) გამოსჭედათ. ისინი აგრეთვე როგორც მონა მჭედლები ვულკანს ემსახურებოდნენ და კუნძულ ლუფარაზე სამჭედლოც კი ჰქონდათ. იმის გამო რომ ბელემნიის სჭედდნენ, აბოლომ ისინი სიკვდილით დასაჯა.

18. ჩვენ არაფერი გვესაქმება ამ მითოლოგიურ ციკლოპებთან. აგრეთვე არაფინ იცის, თუ მათ შესახებ რა იფიქროს. ბერძენი პოეტები თავიანთ ნაწარმოებებში, უბრალოდ, მათ სანკლებს მოიხსენიებენ, რომაელები კი ამათ როგორც მოესურვებათ ისე მოიხმარენ, რაც მათ ნაწერებს ერთობ უდიდებამო ელფერს სძენს. ექვგარაშეა მათში პირველ ბერძენთა მიერ აღმოსავლეთიდან მოტანილი, ანდა შემდეგი თაობების მიერ აღმოსავლეთის ქვეყნებში შეგროვებული ნამდვილი თქმულებებიც არსებობს. თუმცა იმის გამო რომ ამ თქმულებათა ერთ ნაწილში ორიგინალისეულ სანკლებს ბერძნული სანკლები ჩაენაცვლა, ნაწილი ბერძნული გამონათქვამებით შეიცვალა და ნაწილი კი, უბრალოდ, რედაქტორთა გემოვნებისა და ნება-სურვილის მიხედვით ჩამატებული ტექსტებით დამახინჯდა, ბოლო ჯამში პირვანდელი ტექსტი ძნელად ამოსაცნობი გახდა. ისე რომ თქმულებად ქცეული წარსული ამბებისა და პიროვნებების აღრიდელ მდგომარეობაში დაბრუნების მცდელობა ამათ გარჯის მეტი არაფერია. ეს ისე უნდა მოხდეს, როგორც მაკრობუსი და ციცერონი აღნიშნავენ, გიგანტები, რომელ-

თაც უადრესი სფრთხილით ეკიდებიან, ყოველგვარი ცხოვრებისეული ნორმის მიღმა უნდა განისილებოდნენ, რათა შექმდებოდნენ დიქტების მიერ თავიანთი სამკვიდროებიდან მათი განდევნის სურვილის შთაბეჭდილება შექმნას.

19. ციკლოპების მეორე ტიპს არქიტექტურული ხელოვნების ის წარმომადგენელი განეკუთნებიან, რომლებიც გიგანტურ შენობა-ნაგებობებს აგვირგვინებდნენ. გადმოცემის თანახმად, არგუსის ქვეყანაში ვინმე ნამდვილი პროტუსის მიერ ლიქიდან მოწვეული შვიდი ციკლოპის მიერ აშენებული ქალაქი ტირინფი არსებობდა. ყველაზე პატარა ქვაც კი, რომელიც ამ ქალაქის ირგვლივ აღმართულ გალავანში ყოფილა ჩატანებული, უღელში ჩაბმულ რამოდენიმე ცხოველს თუ შექმლო მოეტანა. გადმოცემის თანახმად, ქალაქ მიკონას ირგვლივ შემოვლებული კედლებიც სწორედ მათ მიერაა აშენებული. სტრაბონი აღნიშნავს, რომ ნაუფლას სიანლოვს მდებარე გამოქვაბული, რომელსაც სამი ლაბირინთი აქვს, ციკლოპების ნახელავი უნდა იყოს. ამიტომაც თუ ვინმე გასაოცარ, ან საკვირველ საქმეს იქმს, ციკლოპურ თამაშს უწოდებენ. ცნადა, ასეთ შემთხვევაში მათი სიძინა და ცალთვალთა არ იგულისხმება. იგულისხმება მათი გიგანტური საქმის მითოლოგიური ციკლოპების საქმეებთან მზგავსება. როგორც იტყვიან,

Roburque et vires et doli erant in operibus.—კაცობისა და მოხერხებულობის ძალა საქმეში ჩანს.

20. აქ საჭიროა ვიგულისხმეთ ალბანები, რომლებიც დასავლეთ იბერიასა და აღმოსავლეთში კასპიის ზღვას შორის ბინადრობდნენ. მათ ჩვეუად ჰქონდათ ქცეული ციკლოპური ცნოვრების წესი, რამეთუ ისინი ტანწერ-წეტანი იყვნენ, ძირითადად მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევდნენ. იმის გამო რომ ციკლოპებს კაციჭამიებად მიიჩნევდნენ, სკიფებს, რომლებიც ჩრდილოეთის სიანლოვეს ცნოვრობდნენ, ციკლოპებს უწოდებდნენ. ეს იმიტომაც ხდებოდა ასე, რომ მათ მართლაც აბრალებდნენ კაციჭამიობას.

21. მეორე ტიპის ციკლოპები საერთო წარმოსახვის ნაყოფია და სინამდვილეს არ შეეფერება. მათგან უძრავ-ლესობამ თავისი სახელი, როგორც ნამდვილი ადამიანის სახელი და თავიანთი ტომების სახელწოდებანი ვითარცა ნამდვილად არსებული ტომების სახელები დაგვიტა.

აქ არის ერთად-ერთი ცოცხალი არსება, რომელიც შეიძლება ოღუზების ციკლოპთან შესადარებლად გამოგვადგეს.

აი ეს განლაგთ ჰომეროსის მესამე ციკლოპი, რომელსაც პოლიფემი ეწოდება. ციკლოპები, რომლებიც თრინაკრიის, ანუ სიცილიის კუნძულზე ცნოვრობდნენ, შეიძლება მივაკუთნოთ ზემოთ მოხსენიებულ მესამე კლასს, რადგანაც არც ჰომეროსს დაუნატაფს საჭირო დონეზე და არც რედაქტორებს გაუმახვილებიათ ყურადღება მათივე სიმანჯის გამო.

უპირველეს ყოვლისა ყველა ძველი მონაცემი — ის, რომ სიცილიელი ციკლოპები კუნძულის პირველი ბი-

ნადრები იყვნენ, ის,რომ იტალიიდან აქ ჩამოვიდნენ პელეგის უემდეგ, დაახლოვებით 100 წლის მერე, და ისიც, რომ მოგვიანებით ფონიკირიკთა მიერ აბორიგენებად იქნენ მიჩნეულნი – ერთმანეთს ემთხვევა. რამეთუ ისინი დასახლებულნი იყვნენ ეთნას მთის ირგვლივ, რომელიც ლილიბეიშის აუზში ტკაცა-ტკუციით იწვის. მას კი მიგვევართ იმ იდეამდე, რომ ისინი მართლაც სამქედლო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. ასე რომ აღნიშნული ციკლოპები შეიძლება დაგანასიათოთ, როგორც ვულკანის რეინა-მქედლები. მათი გარეგნობის შესახებ დაბეჯითებით ის შეიძლება ითქვას, რომ ისინი ძალზედ დიდები ყოფილან და სამარებში ნაპოვნ ჩონჩხებთან მათი იდენტურობა ეჭვს არ იწვევს. ეს სულ ცოტა საშუალებას იძლევა, გამოვყვით მერე ტიპის ციკლოპები. *Siklopum skopuli-is* კლდეები, რომლებზეც ისინი ბინადრობდნენ, დღეს ფარაგლიონებად იწოდებიან. კატანიანის ჩრდილოეთის სიანლოვეს, აღმოსავლეთ სანაპიროზე სამი კლდე არსებობს, რომელთაც *Val di demonin* - (დემონთა სამფლობელი) ეწოდებათ.

22. ვნახთ ორი ციკლოპი – ოღუზებისა და ჰომეროსისა – რომელ მომენტებში შეესაბამება ერთმანეთს და ჰომეროსის რომელ წვრილმანებზე სდუმს. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლეებს, რომ ჩვენ თაფაგოზისაგან უფრო მეტს ვსწავლობთ, ვიდრე პოლიფემის შესახებ ვიცით.

23. ერთ მშვენიერ დღეს ერთი ოღუზი მწყემსი (ძველ დროში იგი პატივსაცემ პიროვნებად ითვლებოდა) მიდის წყაროსთან, სადაც ფერია ქალწულები იკრი-

ბებიან. იგი დაუოკებელი სიყვარულის ძალით ერთ-ერთ მათგანთან ინტიმურ კავშირს ამყარებს. ამ კავშირის შედეგად ფერია ვაჟს შობს, რომელიც ძალზედ გიგანტურია და თავზე ერთადერთი თვალი აქვს, სწორედ ამიტომ მას თაფაგოზს (კეფათვალას ი.მ.) უწოდებენ.

24. ის ფაქტი, რომ ჰომეროსი პოლიფემს ნებტუნის ვაჟად მიიჩნევს, მისი წარმომავლობის შესახებ არაფითარ ინფორმაციას არ იძლევა. ზოგიერთები მას ნებტუნისა და ნიმფა თუზას, ან ამფიდრიტეს ვაჟად მიიჩნევენ, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ იგი ელატუს ნიმფა შტილდესთან, ანუ ამინონესთან კავშირის შედეგად გაჩნდა. მიუხედავად ამ თვალსაზრისისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ელატუსეს ვაჟი, მართლაც, არგონავტებს მიეკუთნებოდა და სხვებივით ისიც ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომ გემში სახლი ჰქონოდა.

25. რისის მიაჩნია, ალექსანდრია ის, რომ ციკლოპებს მხოლოდ ერთი თვალი ჰქონდათ იმისათვის, რომ თავისთვისაც მიეხედათ, გარემოც დაეზვერათ და მეზობელსაც დასწმოდნენ თავს გასაძარცვაგად. ვფიქრობ, ალბოგურია ასეთი იდეა. ცალ-ცალკე აღებული, მიუხედავად მათი სისწორისა თუ ცთომილებისა, ორივე ციკლოპი იმიტომაც ცალთვალა, რომ შემდეგ მისი დაბრმავება შესაძლებელი იყოს. რისი შემდგომ დასძენს, რომ მრავალი მოწმის თანხმად, მართლაც არსებობდნენ ცალთვალა ადამიანები. ეს, სიმართლეს რამდენად შეესაბამება, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ესენი ის ციკლოპები არ არაიან, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

26. მას შექმდეგ, რაც ახლად გაჩენილ თაფაგოზს ფერია დედა საფენების ამარა მიატოვებს, ოღუზი ბეკები მას შემთხვევით წააწყდებიან წყაროსთან. არუზ გოჯად წოდებული ვინმე მსცოვანი მას იშვილებს, რათა თავის გაჟთან- ბასათთან ერთად აღზარდოს. მაგრამ იგი ძლიერია და ძუძუს გაშმაგებით წოვს, რასაც მისთვის გამოყოფილი ძიძები ვერ უძლებენ და ერთმანეთის მიყოლებით კვებიან. საჭირო ხდება, რომ იგი სწვანაირად გამოკვებონ. უკვე წამოჩნტული იგი თამაშის დროს თანატოლებს ცხვირსა და ყურებს მიაჭამს. რის გამოც სახლიდან აძეგებენ.

27. როგორც ჰომეროსთან, ასევე სწვებთანაც ცხოვრების ამ პერიოდს საერთოდ ყურადღება არ ექცევა.

28. მას შექმდეგ რაც თაფაგოზს ოღუზები გააძეგებენ, მასთან დედა მოდის და თითზე წამოაცვამს მაგურ ბეჭედს, რომელიც მას მანვილისაგან დაიცავს, რათა მტერთან შეკინებისას არ დაიჭრას. თავის უძლეველობაში დარწმუნებული ვაჟი შავ მთად წოდებულ მაღალი მთის მწვერვალზე დაბინავდება და თავს სწვათა ძარცვით ირჩენს.

29. იმის შესახებ, რომ მისი დაჭრა შეუძლებელია, პოლიფემთან არაფერია ნათქვამი. თაფაგოზსა და მას შორის საერთო ისაა, რომ ორივე მათგანი მთის მწვერვალზე ცხოვრობს და თავისუფალ, ანუ ციკლოპურ ცხოვრებას ეწევა.

30. პლატოს მიაჩნია, რომ ნიაღვრისა და ზვავის შიშით ადამიანები იმთავითვე მთის მწვერვალებზე დამკვიდრებულან და ციკლოპიც ამიტომ შემოუსვამთ მწვერვალზე. თუმცა მოვლენათა საპირისპიროდ მოგვიანებით ვაკეებსა და ბოლოს კვლავ ზღვის სანაპიროებზე დასახლებულან. ალბათ ციკლოპების მთის მწვერვალებზე დასახლების მიზეზი ადამიანთა შემოტყევისაგან თავის განრიდებასა და თავისუფალი ცხოვრების წესში უნდა გვიძიოთ.

31. საკვების მოპოვების მიზნით თაფაგოზი ადამიანებსა და ცხოველებს იტაცებს და სჭამს. იმისათვის, რომ იგი მოსპონ, ოღუზები შეიღჯერ ერთიანდებიან. თუმცა მათი ყველა მცდელობა მარცხით მთავრდება. ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეებით შეიარაღებული ციკლოპი თითო მოქნივგაზე ორმოცდაათ-სამოც კაცს კლავს. ისარი, ხმალი და შუბი კი მის სწეულზე შესებობას იმსწვრება.

32. პოლიფემის წინააღმდეგ მზგავსი თავდასხმები არ სორციელდება. პირიქით, კუნძულ თრინაქრიის ყველა ბინადარი მისი მეგობრებივითაა წარმოდგენილი. აგრეთვე არც ოდისეისა და მის მეგობრებს გაუბედავთ ასეთი ქმედება.

33. ოღუზები კი თაფაგოზთან მიმართებაში სწვანაირად მოქმედებენ. ჯერ დღიურ საკვებად იგი სამიც კაცს მოითხოვს, თუმცა შემდგომ ოღუზების შემოთავაზებულ ორ კაცსა და 500 ცხვარს თანხმდება. გარდა ამისა, ადამიანებისა და ცხვრების შესაწვავად მას ორ ოღუზსაც გამოუყოფენ.

34. ჰომეროსის შემთხვევაში პოლიფემის კვების შესახებ არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ იგი კუნძულზე მყოფი აურაცხელი ცხვრისა და თხის ფართო იკვებება, განსაკუთრებით კი მათ რძეს სვამს, ყველს ჭამს, ღვინოს მიირთმევს და პურს აყილებს. მხოლოდ ერთხელ, როცა ოდისეი 12 მეგობრის თანხლებით მას გამოქვაბულში ეწვევა, იგი არ ელოდება მისი ორი მეგობრის შეწვას და მოხურვებს ისინი უმად შეჭამოს.

35. მანამ სანამ კვლავ იმ სანდაზმული ქალის ჯერი დადგებოდა, რომელმაც თავის დროზე უფროსი ვაჟი მისცა თაფაგოსს შესაჭმელად და ახლა კი უმცროსი, თანაც ნაბოლარა ვაჟიც უნდა გაიმეტოს, შეთანხმება წესისამებრ სრულდება. ეს ქალი შესწიფლებს ბასათს, რომელიც თავის დროზე თაფაგოსთან ერთად იზრდებოდა და ოდესღაც ლომის რძით იკვებებოდა. მიუხედავად მშობლებისა და მთელი ოღუზი ბეკების მცდელობისა, სელი აადებინონ ამ უაზრო მცდელობაზე, ბასათი მანც არ იშლის თავისას. იგი მტკიცედ გადაწყვეტს, თაფაგოსს შეებრძოლოს და ოღუზ სალხს ეს უბედურება მოაშოროს. შუბით, სმლითა და მშვილდ-ისრით შეიარაღებული იმ კლდოვანს მიმართავს, სადაც თაფაგოსია დაბინავებული. იგი ისარს უშედეგოდ ისვრის. თაფაგოსი მას ადვილად შეიპყრობს და გამოქვაბულში მიჰყავს, რათა სადამოზე შეაწვევინოს და ვახშმად მიირთვას.

36. ოდისეი ცნობისმოყვარეობის გამო თავის მეგობრებთან ერთად მაშინ ეწვევა თრინაქრიაში პოლიფემის

გამოქვაბულს, როცა იგი შინ არ არის. თავიდან ციკლოპის მიმართ ცუდი განზრახვა არავის ამოძრავებდა. ოდისეისა და ბასათს შორის საერთო თვისება ის არის, რომ ორივენი შეპყრობილ იქნენ გამოქვაბულში და მათ მსოფლიოდ იმაზე უწევთ ფიქრი, როგორმე დაისწინან თავი.

37. ბასათი მას შემდეგ, რაც თავდასწმიდან თავდაცვაზე გადადის და თაფაგოზის ჩვენთვის ცნობილი მოსამსახურეებიდან შეიტყობს, რომ იგი მსოფლიოდ თვალში შეიძლება დაიჭრას, სანჯაღს ცეცხლზე აწურებს, რათა ძილში მყოფ თაფაგოზს თვალები ამოუწვას და დასთხაროს. როცა განზრახულის განსორციელებას შეუდგება, თაფაგოზი ისე დაიდრიალებს, რომ შეზანზარებული მთები ბანს გამოსცემენ.

38. აქ ბასათსა და ოდისეის შორის ერთ შესატყვისობას ვამჩნევთ: ისიც გამოქვაბულში ყოფნისას ზეითუნის სარს ცეცხლზე გაახურებს და მძინარე პოლიფემს თვალში ატაკებს, ციკლოპი ტკივილისაგან ისე დაიდრიალებს, რომ კლდენი შეზანზარდებიან.

39. პოლიფემსა და თაფაგოზში ყურადღებას ისიც იბყრობს, რომ ორივე ეს გიგანტი გარდა თვალების დათხრით გამოწვეული პირველი ტკივილისა, რომლის გამოც მყისიერად აღრიალდებიან, სწავა რომე დამთრგუნველ ტანჯვას არ განიცდიან.

40. პოლიფემის შემთხვევაში შეიძლება ასეთი კითხვა გაჩნდეს, ოდისეი რატომ არ კლაფს მას და მსოფლიოდ დააბრმავებს? თავად ჰომეროსის პასუხი ასეთია: იმის

გამო, რომ ოდისეისა და მის მეგობრებს ძალა არ შესწევდათ გადაეცორებინათ ქვა, რომლითაც გამოქვაბულის კარი იყო ჩახურგილი, ციკლოპს უნდა ეცოცნლა. თაფაგოზს კი გასასვლელი ასეთი კლდის ნატყნით არ ჰქონდა ჩახურგილი. თუმცა იმის გამო რომ ციკლოპი მხოლოდ თვალში შეეკძლო დაგეჭრა, ბასათი მის წმალსაც უნდა დაბატონებოდა, რომ იგი ცოცხალი არ გადარჩენილიყო და წინააღმდეგობა არ გაეწია.

41. იმისათვის რომ ბასათი არ გაექცეს, იგი შეაწვევინოს და შესანლოს, თაფაგოზი გასასვლელს ფეხებით ჩახურგავს და ყოჩებს სათითაოდ უშვებს გარეთ, თანაც თვითივე ყოჩს რქაში ხელს ჩაავლებს სოღმე, რათა ბასათი არ გამოეპაროს.

42. პოლიფემიც ამის მზგავსად მოქმედებს, იგი გამოქვაბულის გასასვლელში ჯდება და კარში გასულ ყოჩებს ხელთ ამოწმებს, რათა ოდისეი და მისი მეგობრებიც თუ დააბირებენ კარში გასვლას, შეიპყროს.

43. ციკლოპის მოსატყუებლად ბასათი ყოჩს დაკლაფს და ისე აატყავებს რომ თავსა და დუმას არ მოაცილებს. იგი ყოჩის ტყავში შექვრება და თაფაგოზის წინაშე წარსდგება. თავს მისი ხელებისკენ გაიშვენს, ფეხებშუა გაუსწლტება და ერთი ნანტომით გარეთ გააღწევს.

44. იმისათვის რომ შიგნით დარჩენილი სამი მეგობარი გაათავისუფლოს, ოდისეი სამ ყოჩს ერთმანეთს გადააბამს, ამ ყოჩთავან შუაში მყოფს მუცელქვეშ ამო-

ფარებული ერთ-ერთი მეგობარი უნდა გამოეყვანა გარეთ. თავისთვის ყველაზე ძლიერ ყოჩს ირჩევს, რათა მატყლიან მუცელქვეშ ამოეფაროს. ასე და ამგვარად ისინი გამოდიან გამოქვაბულიდან.

45. ზოგიერთებმა შეიძლება გაიკვირონ, ილიადა და მისი მეგობრები თითო ყოჩმა გამოქვაბულიდან როგორ გამოიყვანათ? სწვები კი ფიქრობენ, სიცლიაში ისეთი ყოჩები ყოფილან, რომ ერთი ცხენის ტვირთის წადება შესძლებიათ. მე კი მჯერა, რომ ბასათმა ისეთი სელსაყრელი შანსი აიჩნია, რომელიც შვიდ კაცს არ მიესადაგებოდა. ალბათ ესაა მიზეზი იმისა თუ ჰომეროსმა ეს სერნი რატომ არ აიჩნია.

46. თაფაგოზსა და ბასათს შორის სწავდა-სწავგვარი მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ამით პირველი ცდილობს მეორე დაჯაბნოს. მაგრამ არაფერი გამოისდის, ბოლოს იგი მარცხდება, მუნღს მოიყრის და ბასათს თავისივე სმლით მოაკვეთინებს თავს. ეს უფრო ვრცლად შეგვიძლიათ წაიკითხოთ მოთხრობაში, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ.

47. ეს სიტუაცია ვერ გამოგვადგება იმისათვის, რომ თაფაგოზი პოლიფემს შეგადართო, რადგანაც გამოქვაბულიდან თავდაღწეული ოდისეი ყოჩებს გემში შენეკავს და იქაურობას შორდება. ის მხოლოდ წყალში დრმად შესული პოლიფემის მისამართით ირონიულ სიტყვებს გაიძანის. ამიტომაც პოლიფემი მისკენ კლდის ნატყენებს ისერის და და ახალი საფრთხის შექმნით იმუქრება.

ოდისეის ამ საქციელსაც დაუფიქრებელს უწოდებენ და კიცხავენ. მე მხოლოდ ის შემიძლია დაგამატო, რომ თაფაგოზი მზგავს საქციელს თავისი ძალის დემონსტრირების მიზნით სჩადის და კლდის სიცარიელეს, სადაც მისი საზინა ინახება, ერთი სეკლის დაკვრით მხოლოდ იმიტომ ანგრევს, რომ მის ქვეშ ბასათი მოიყოლიოს. პოლიფემი, სანამ თვალის ჩინი ედგა, ოდისეის სახელს რომ ეკითხება, იგი არასწორად პასუხობს. თაფაგოზი კი იმავე შეკითხვას მასშემდეგ სვამს, რაც თვალის ჩინს ჰკარგავს, ბასათი თავის სახელს არ ძალავს და ბოლო დროს მისი ოჯახის თავს დატყენილ უბედურებებში თაფაგოზს ადანაშაულებს.

48. ამ შედარების შემდეგ ადგლად შეიძლება ითქვას, რომ ოღუზი ავტორი ვინც არ უნდა იყოს იგი და ჰომეროსი ერთსა და იმავე გიგანტზე საუბრობენ, ანდა ორივე მოთხრობის საფუძველს ერთი და იგივე თქმულება წარმოადგენს. რადგანაც ამგვარი მითოლოგიურ ამბებში, რაგინდ სანვა-დასნვა დროსა და სივრცეს არ უნდა განეკუთნებოდნენ ისინი, შეუძლებელია ამდენი დამთხვევა და მზგავსება შემთხვევითი იყოს. რა თქმა უნდა მზგავსება ნათელი და ეჭვშეუვალი ფაქტებით კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება. მაგრამ არსებობენ ჩემში უკმარისობის გამომწვევი ისეთი მიზეზები, რომლებიც ოღუზური ციკლოპის ჰომეროსისგან გადმოღების ფაქტს გამოორიცხავენ.

ესენი ქვემოთ მოყვანილი ფაქტებია:

49. ჯერ ართი, აღმოსავლელეები არასოდეს იცნობდნენ ბერძნულ მითოლოგიას. იმის გამო რომ ეს ქმნილებანი მითოლოგიური თვალსაზრისით მათთვის სრულიად გაუგებარი იყო, ისინი ჰომეროსის ნაწარმოებებს ვერ გადათარგმნიდნენ. თავად აზიური ენები ამგვარ საჭირო თემებსა და გამონათქვამებზე უარს ამბობდნენ. აქლიანი თავის “ისტორიულ წყაროებში” (12გვ.48) ამბობს, რომ ინდოელებსა და სპარსელებს ჰომეროსის ლექსების წაკითხვა თავიანთ ენაზე უწყვარდათ. თუმცა მასაც ბოლომდე არ სჯერა ეს და დასძენს, რომ თავად ამის მთქმელთაც არავითარი ისტორიული საბუთი არ გააჩნიათ. თავის “დინასტიის ისტორიაში” (გვ.40) აბდულ ფერეჯიც საუბრობს რომელიღაც სირიულ თარგმანზე. იგივე აბდულ ფერეჯი 148-ე გვერდზე დასძენს, ეს სწვა არაფერია, თუ არა თეოფილ ასტრონომუს ფონ ედისას მიერ ილიადას ორი წიგნის ბოლო დროს შესრულებული თარგმანი. ფაბრიციუსი თავის “ბერძნულ ბიბლიოგრაფიის” 250-ე გვერდზე აღნიშნავს, რომ ამ პატარა ფრაგმენტების შესახებ სირიელების წიგნთა სიაში არავითარი მონაცემი არ შენგედრია. დიოქრისოსტომუსი 53-ე ორატორიაში ინდურ თარგმანს იძიებებს. მაგრამ ამას თავადვე უარყოფს და დასძენს, რომ მრავალ ბრაჰმანს გაეგონა ჰომეროსის სახელი, თუმცა მათ არ იცოდნენ ეს რა არის, ცხოველი, მცენარე, თუ სწვა რამ. თუ ლობზე თავის “ანალ ბიბლიოგრაფიაში” (გვ.257) ვატიკანის წიგნთსაცავის ხელნაწერთა შორის ყველასთვის უცნობ სპარსულ ჰომეროსს მოიხსენიებს, ბუნებრივია, ეს ისე უნდა განიხილებოდეს, როგორც

მტკნარი სიცრუე. თუ აზიელები ჰომეროსს თრეპანის მეშვეობით არ გასცნობიან, მაშინ გამოდის, რომ ისინი არც მის პოლიფემის შესახებ მოთხრობებს იცნობდნენ.

50. სწვა მხრივ კი ოღუზური ციკლოპის ცნოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე მთელი სიზუსტითაა აღწერილი. ჰომეროსის მონათხრობი კი, რომელიც პოლიფემის ცნოვრებას ეხება, ამის ფონზე ერთი ფრაგმენტის, ან ამბის ერთი მონაკვეთის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ სწორედ ადამიანების მზგავსების ამსახველ შტრისებზე უფრო მეტად საზიარო მიზნები იჩენს თავს. ნათლად ჩანს, რომ ამბის შესახებ ოღუზი ავტორი უფრო ინფორმირებულია, ვიდრე ჰომეროსი. ეს მითი ოღუზური რომ არ ყოფილიყო, განა ოღუზი ავტორი, რომლის ვინაობის შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით, შესძლებდა ამბავი ასე დაწვრილებით და ნათლად გადმოეცა? ესეიგი, აღნიშნული მითი დედე გორგუდამდე წერილობითი ტექსტის სახით რომც არ ყოფილიყო, შესაძლებელია ზეპირსიტყვიერების სახით მთავრად და ჩვენთვის უცნობმა ავტორმა ძალზედ ისტატურად მოარგო იგი ცნობილ ოღუზურ ამბავთა ციკლს.

51. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ჰომეროსმა აზიაში მოგზაურობისას თაფაგოზის ზღაპარი მოისმინა. ყოველ შემთხვევაში, როცა ამათუ იმ ამბის გაცნობა მთარგმნელის მეშვეობით ხდება, ტექსტი არასრულ სახეს იღებს, ჩანს, ჰომეროსიც შეეცადა ამ ამბის ძირითადი შტრისები თავის პოლიფემში გადმოსცეს. შეიძლება, მან ეს ამბავი იონის მახლობლად თავად მოისმინა. რადგანაც

ოღუწთა ერთი შტო, ვინ იცის რა სახელწოდებით, პრიამის მოკავშირე იყო და ტროას ალყის დროს ბერძენთა წინააღმდეგ იბრძოდა. ასე და ამროგად, თაფაგოზის ზღაპარი მცირე აზიაში იქნა ჩამოტანილი და ჰომეროსის დროს როგორც ახალი დირსასანსოვარი ადგილად დასამანსოვრებული გახდა. თუმცა ჰომეროსმა თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენა იგი. ნათელია, რომ კარგად ჩამოყალიბებული ციკლოპის ზღაპარი, ჰომეროსისგან დამოუკიდებლად, ფართოდ იყო გავრცელებული იმ ხალხებში, რომლებსაც ბერძნები ბარბაროსებს უწოდებდნენ, ამიტომაც ბერძნულ ტექსტებში ამოკითხული ყველა ამბის ბერძნების კუთვნილებად გამოცნადება, უსამართლობა იქნებოდა. მე ბერძნების არაერთ მეცნიერულ წარმოდგენასა და მონაცემებზე დაყრდნობით დაგვასაბუთო, რომ ისინი ახლო აღმოსავლეთიდანაა აღებული. *ნახე: აჩრდილის წიგნი, გვ. 441. შენიშვნა 2.615. შენიშვნა 1 და 824. შენიშვნა. სამეფო ჩანაწერების წიგნი გვ. 20. შენიშვნა 1. მოვთხებები აზიაზე 1 ტომი, გვ. 12.* აქ ჩვენ ვხედავთ იმიერ აზიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ზღაპარსა, თუ ლეგენდად ქცეულ მოთხრობას, რომლის შესახებაც ბერძნები ამბობენ, რომ ამას ჩვენს ციკლოპებთან არავითარი კავშირი არ აქვს. რადგანაც ისინი, მართალია ციკლოპთა სამ ტიპს განიხილავენ, მაგრამ თუნდაც ერთს ისეთ სრულყოფილს ვერ ქმნიან, როგორც ოღუწებმა დაგვიტოვეს.

52. როცა საკითხს ამ კონტექსტში განვიხილავ, მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ევროპაში ადამიანურ საკით-

სებთან დაკავშირებულ უძველეს ცოდნას, რომლის შესახებაც დღემდე არვინ ლაპარაკობს, წარმოგვიდგენენ სოლმე როგორც აზიის შესახებ მოგონებებს.

წინამდებარე წიგნის ორიგინალურ ტექსტს ბწკ-არეღული თარგმანიც უნდა დაგურთო, რათა ამათუ იმ მომავალ მეცნიერს საჭმე გავუადვილო. ან თუ ვინმეს ის ენა ეცოდინება და გადაწყვეტს სსგა ანლოთადმოსაგ-ლურ ტექსტებშიც გაჰყვეს ოღუზური ციკლოპის კვალს, ვფიქრობ, აზიური და ბერძნული ციკლოპების მზგავსება-შესაბამისობებს როცა იხილავს, თავს ბედნიერად ჩათვლის. და ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ამათ გარჯად. იმისათვის, რომ ნათელი შეგვაქვს წარსულ ბუნდოვანებაში, ოდანაგ მანც მადლიერნი იქნებიან ისინი, ვინც მომავალში ამ ნაშრომით ისარგებლებენ. მრავალი შეცდომაა ორიგინალურ სელნაწერებშიც, რომლთაც სწვადა-სწვა გადამწერთა სელში გაუვლიათ, ესეც ბუნებრივია, რადგან ძველ დროში სწვანაირად ვერც იქნებოდა. მე მას ისე ვბეჭდავ, როგორც ვიცი. თუმცა აქაცაა ისეთი შეცდომები, რომლებიც ძნელად იშფოვება, აზრს ამახინჯებს და რიგ შემთხვევებში მთლად გაუგებარს სდის მას. ამგვარ სიტყვებთან მიმართებაში ფრჩხილებშია ჩასმული ის ვარიანტი, რომელიც მე მიმაჩნია სწორად. მათთვის, ვინც ენა იცის, ის მცირე შეცდომები, რომლებიც ჩემს თარგმანშია, თავისთავად ადვილად გასაგები იქნება.



**ბასათის მიერ თაფაგოზის
მოკვლის ამბავი**



ზანო ჩემო, ერთ დღეს, როცა ოღუზები თავიანთ მამულში მშვიდობიანად ისხდნენ, მოულოდნელად მომხდურნი დაესხნენ თავს. ისინი დამიანად აიყარნენ და როცა გარბოდნენ, გზად არუზ გოჯას ჩვილი ვაჟიშვილი დაუგარდათ. ერთმა ძუ ლომმა იპოვა იგი, წაიყვანა თავისთან და გაზარდა...

გამონდა ზანი და ოღუზი ზალნი კვლავ თავის ადგილ-მამულს დაუბრუნდა. ოღუზ ზანის კაცი, რომელიც რემას მწყემსავდა მოვიდა და ამბავი მოიტანა. თქვა: “ზანო ჩემო, ლელიანიდან ერთი ლომი გამოდის, ადამიანივით დასტის და დაიარება. ცხენს ერთი დაკვრით დასცემს და სისხლსა სწოფს.”

არუზმა თქვა: “ზანო ჩემო, ეს ალბათ ჩემი ის ქორთვა ვაჟიშვილია, რომელიც მაშინ დამეკარგა, როცა გავრბოდით?” ბუკები ამხედრდნენ და ლომის ბუნაგს მოადგნენ. ლომი გააქციეს და ბიჭი შეიპყრეს. არუ-

ზმა ვაჟი შინ წამოიყვანა. მოიღწინეს, ჭამა-სმა გამართეს. მაგრამ ბიჭს როგორ არ დაუყვავეს, როგორ არ ეცადნენ, არ ვაჩერდა, თვალი ერთთავად ღომის ბუნაგისაკენ ეჭირა და ერთ დღეს გაიქცა კოდეც. კვლავ დაიჭირეს და მოიყვანეს.

დღეე გორგუდი მოვიდა და თქვა: “შვილო ჩემო, შენ ხარ ადამიანი. ნუ იქნები ცხოველის თანამოსაუბრე. მოდი საუკეთესო რაშებს შემოაჯექი და საქმე კარგ ჯიბიტებთან დაიჭირე! გიამ სელჯუკი ჰქვია შენს უფროს ძმას, შენ კი ბასათი გერქვას! სახელი მე მოგეცი, ღმერთმა კი დღევრძელობა მოგცეს!”

ერთ მშვენიერ დღეს ოღუზის ჯამაათმა გაიილაღა. არუზს ერთი მწყემსი ჰყავდა. სახელად გონურ გოჯა სარი ჩობანს (შავგვრემანი მონუცი, ყვითელი მწყემსი ი. მ.) ეძახდნენ. ოღუზთავან მასზე უწინ არავინ ავიდოდა მთაში საილაღოდ. იქ ყველასთვის კარგად ცნობილი ერთი წყარო იყო, რომელსაც უზუნ ბულავს (გრძელი წყარო ი. მ.) ეძახდნენ. იმ წყაროსთან ფერიები დაფრინილიყვნენ. უეცრად ცხვრის ფარა დაფრონა. წყემსი გაუჯავრდა წინმაგალ მამალ თხას და გზა გადაუჭრა. უცებ დაინანა, ფრთა-ფრთას გადანასკული ფერიები დაფრინავენ. მწყემსმა ნაბადი მოისროლა მათკენ და ერთ-ერთი ფერია ქალწული შეიბყრო. სურვილი მოეძალა და გულში ჩაიხუტა... ცხვრები უფრო მეტად დაფრონენ. მწყემსი დაფანტული ფარისაკენ გაიქცა.

ფერიაჲ კი ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა, თანაც კაცს უთხრა: მწყემსო, წელიწადი რომ შესრულდება, მოდი და ამანათი (ბავშვი ი.მ.) ჩაიბარე! თუმცა შენ ამით თავს უბედურება დაატყუე ოღუზებს!" მწყემსი შიშმა შეიპყრო. თანაც ქალთან განშორებამ დაადონა და გააყვითლა.

გაგიდა დრო და ოღუზებმა კვლავ გაიიალაღეს. მწყემსიც კვლავ მივიდა იმ წყაროსთან. ცხვარი კვლავ დაფრთხა. მწყემსი წინ წადგა. დაინახა, რომ სორცის გორაკს სძინავს, თანაც ძლიერ ბრწყინავს. ამ დროს ფერია ქალი მოფრინდა და უთხრა: "მწყემსო, ესაა შენი ამანათი, მოდი ჩაიბარე! თუმცა ამით უბედურება დაატყუე ოღუზებს!" ძლიერ გაიკვირვა მწყემსმა, როცა ეს სორცის მასა ხელში აიყვანა, მყისიერად დააგდო, უკან მობრუნდა და ქვები დაუშინა. რაც უფრო ბევრს ურტყამდა, მით უფრო იზრდებოდა ეს სორცის სროვა. მწყემსმა მიატოვა და გაიქცა, ბოლოს დაფანტულ ცხვრის ფარას მიაშურა.

თურმე იმ დროს ბაადურ ხანი სასყირონოდ გამოსულიყო ბეკებთან ერთად. ისინიც ამ წყაროსთან მოვიდნენ და ნახეს, რომ რაღაც საკვირველს დააბრქვავებუღლს სძინავს. ბეკები ვერ მიხვდნენ, რაა. ირგვლივ შემოიხვივნენ. ჯიფიტთაგანი ცხენიდან ჩამოხდა, მიუახლოვდა მას და დაჰკრა. რამდენჯერაც დაჰკრა, სორცი იმდენჯერ გაფუგდა. რამდენიმე ჯიფიტიც ჩამოქვეითდა და

მათაც დაჰკრუს. ისინი სცემდნენ, ეს კი ყველა დარტყ-
მაზე სიფეებოდა. არუზ გოჯაც ჩამონდა, მანაც დაარტყა
და შეაჯანჯლარა. უცებ ფენისწვერი წამოეღო და ამ
ხორცის ნაჭყენს შემოვლებული აპკი გახია. იქიდან დიდი
ჩვილი გაჟი გამოჩნდა. ტანი ადამიანის ტანს მიუგავდა,
კეფაზე კი ერთად-ერთი თვალი ჰქონდა. არუზმა აი-
ყვანა ეს ჩვილი და მას კალთა შემოახვია. თქვა: "ხანო
ჩემო, ეს მე მომეცით, ჩემს ვაჟიშვილთან ბუსათთან ერ-
თად ვაგზნდი!"

ბაადურ ხანმა: "შენი იყოს!-ო" — უთხრა.

არუზმა თაფაგოზი სახლში მოიყვანა. ბრძანა და
ძიძა მოვიდა. ძიძამ ჩვილს ძუძუ მისცა. ბავშვმა ერთი
მოწოვით მთელი რძე გამოაცალა. მეორე ჯერზე სისწ-
ლი მოსწოვა, მესამედ კი ღონემინდილი ქალი სიცოცხ-
ლეს გამოასალმა. რამოდენიმე ძიძა მოუყვანეს, თაფ-
აგოზმა ყველა მათგანს სული ამოჰხადა. მინდნენ, რომ
საქმე ასე ვერ გაგრძელდება. "რძით გამოკვებოთო!"
თქვეს. დღეში ერთი ქვაბი რძე არ ჰყოფნიდა. გამოკვებეს,
გაიზარდა, სიარული დაიწყო. უკვე გარეთ ბიჭებთან
თამაშობდა. მაგრამ ბავშვებს ზოგს ცხვირი, ზოგს ყურე-
ბი მიაჭამა. ბოლოს მისგან თავმოებუნრებულ ჯამაათს
მთომინების ფიქალი აეგისო. ატირებულებმა არუზს შეს-
ჩივლეს. არუზმა თაფაგოზი სცემა, გათათნა, ასეთი
საქციელი აუკრძალა. თაფაგოზმა თავისი არ დაიშალა.
არუზი იძულებული გახდა, იგი სახლიდან გააგდო.

მოვიდა თაფაგოზის ფერია დედა და მას თითზე ბეჭედი წამოაცვია. “შვილო, ვინძლო ისარი არ გაგერქოს, სხეული ნმაღმა არ დაგისეროს!”-თ უთხრა.

თაფაგოზი ოღუზებისგან წამოვიდა და მაღალ მთაზე დასახლდა. მაგანთ შარაგზაზე დაუნვდა, ადამიანი მოტაცა, დიდ ყაჩაღად იქცა. მის წინააღმდეგ რამოდენიმე კაცი გაგზავნეს. ისარი ესროლეს, არ გაერქო. ნმაღი მოუქნიეს, არ გაჭრა. შუბი უმარჯვეს, ისიც უშედეგოდ. მწყემსი თუ მენახინე, თაფაგოზმა ყველა შესანსლა. მერე კი ოღუზებს მიადგა და აქაც კაციჭამიობას მიჰყო წელი. ოღუზები შეიკრიბნენ და მის წინააღმდეგ ამხედრდნენ. ეს რომ თაფაგოზმა დაინახა, ძლიერ განრისხდა. დიდი სე მოგლიჯა და მათკენ გასტყორცნა. ერთბაშად ორმოცდაათი-სამოცი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. ჯივიტთა მეთაურს გაზანს ისეთი დარტყმა მიაყენა, რომ თვალთ დაუბნელდა.

გაზანის ძმამ გარაგუნამ თაფაგოზის სელში განუტევა სული. დოზანის ვაჟი ალფ როსტომიც დაიდუბა.

ისეთი ფალავანი, როგორიც უშუნ გოჯა ოღლი იყო, მას შეაკვდა. მისმა ძმებმაც თაფაგოზის სელში დალიეს უმანკო სულები.

მასვე შემთაკვდა რკინის სამოსიანი მამაგიც. სისწლიანულგაშება ბუქდუზიც მასთან ბრძოლაში დამარცხდა. თაფაგოზმა თეთრწვერა არუზ გოჯასაც სისწლი არწყყინა. გიან სელჯუკს ნადგლის ბუშტი გაუნეთქა.

ოღუწებმა თაფაგოზს ვერაფერი დააკლეს და თავზარ-დაცემულები უკან გამოიქცნენ. თაფაგოზმა მათ გზა გადაუჭრა და უკან დააბრუნა. მოკლედ, ოღუწებმა შვი-დჯერ სცადეს ბედი და შვიდჯერვე დამარცხებულები უკუ იქცნენ. ოღუწთა მამული გააგებული თაფაგოზის მონა-მორჩილად იქცა.

წაფიდნენ ოღუწები და დედე გორგუდს უნძეს. ბჭო-ბა გამართეს და გადაწყვიტეს: “მოდო წილი გამოვუყეთ, ხნარკი გადავუნადო!” დედე გორგუდი თაფაგოზთან გააგზავნეს. მივიდა, მიესალმა და უთხრა: “შვილო თაფაგოზ, ოღუწთა სამფლობელო შენს მონა-მორჩილად იქცა, მთლად გავერანდა. მე გამომგზავნეს შენთან მო-სალაპარაკებლად. ამბობენ, მზად არიან, დროგამოშვე-ბით წილი მოგცენ.” თაფაგოზმა მიუგო: “დედუში სამოცი კაცი მომეცით შესაჭმელად!” დედე გორგუდმა უთხრა: “ამ ანგარიშით არავის დატოვებ შეუჭმელს, ყველას ბოლოს მოუღებ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, დედუში ორი კაცი და ხუთასი ცხვარი მოგცეთ!”

დედე გორგუდმა ეს რომ უთხრა, თეფეგოზმა უბა-ხუნა: “კარგი, ეგრე იყოს! მაგრამ ამათ გარდა ორი კაციც გამომიყავით, რომ საჭმელი მომიხარშონ, მე კი არსენად ვჭამო!”

დედე გორგუდი გამობრუნდა ოღუწთა მამულში და უთხრა მათ: “ბუნლუ გოჯა და იაფაგლი გოჯა (ორი მოხუცი) თაფაგოზს მიეცით, რათა მას კერძი მოუხ-

არშინ! გარდა ამისა დღიურად ორ კაცსა და სუთას ცნვარს ითხოვს". ნალნი დაყაბულდა. ვისაც ოთხი ვაჟი ჰყავდა, ერთი მისცა, სამი თავისთვის დაიტოვა. სამი ვაჟის პატრონმა ერთი მისცა, ორი დაიტოვა. ორის პატრონმა კი ერთი მისცა და ერთი დაიტოვა.

იყო ერთი კაცი, რომელსაც სასწრაფოდ ვაჟივანი ერქვა. მას ორი ვაჟი ჰყავდა. ერთი უკვე მიეცა და ერთი თავისთვის დაეტოვებინა. ანლა კვლავ მას მოუწია რიგმა. ზარდაცემული დედა გულამოსკვნილი ტირიდა. თურმე, სანთ ჩემო, არუზის ვაჟი ბასათი ნადავლისთვის ყოფილა წასული და სწორედ ანლა დაბრუნებულა. ბიჭის დედას უთქვამს: "ბასათი ანლანს დაბრუნებულა ბრძოლის გულიდან, წაგალ ვთხოვ, ეგებ ნადავლი ტყვე მომცეს და ჩემი ვაჟიშვილი გადავარჩინო!"-ო

ბასათს ოქროს არშიებიანი ტყავის ქვეშავეები გაეშალა და ისვენებდა. ამ დროს დაინანეს, რომ ვიღაც ქალი მოდის.

იგი შიგნით ბასათთან შევიდა, მიესალმა და ტირილით უთხრა: "

მჯიღში არ გეტყვა ბუმბულიანი ისარი შენი

მშვილდი გიბყრია დიდი ჯიხვის რქის.

შენ ყველა გიცნობს აქ შიდა და გარე ოღუწში,

არუზის ვაჟო, ჯიგტო ბასათ, ვთხოვ დამეხმარო!

ბასათმა ჰკითხა:” რა გსურს?” ქალმა მიუგო:”ამ უნდო დუნიაზე ერთი კაცი გამოსულა საასპარეზოს, ოღუზ ხალხს არ დაახება იაღაღზე გასვლა. დიდმა და ბასრმა ხმლებმა ერთი ბალანც ვერ აასწვიპეს. მათ, ვინც ყამიშის შუბებს ათამაშებენ, ვერ შეადწიეს მის უხემ კანში. მკვრივი ხისაგან გამოთლილმა ისრებმა ვერა დააკლეს. ჯიგიტთა მეთაური გაზანი ერთი დარტყმით მოიგერიბ. მისი ძმა გარაგუნაც დიდრონ ხელებში შემოეჭყლიტა. უღვაშებსისწლიანი ბუგდუზ ემენიც მანვე დაბეგვა. სისწლი არწყევინა შენს თეთრწვერა მამას. ბრძოლის ველზე შენს ძმას გიანს ნადვლის ბუშტი გაუსკდა და სული დალიბ. ოღუზთა დანარჩენი ბეკებიც ზოგი დაჭრა, დაასახინრა, ზოგი კი მოკლა. ოღუზები შვიდჯერ აყარა და დაარბიბ. ხარკი ისურვა, ისიც მიიღო. ახლა კი დღეში ორი კაცი და ხუთასი ცხვარი უნდა ჩვენგანა. უნლუ გოჯა და იაფაგლი გოჯა გაუმწესეს მოსამხარურედ. ვისაც ოთხი ვაჟი ჰყავდა, ერთი მას მისცა, ვისაც სამი ვაჟი ჰყავდა, ერთი მას მისცა, ვისაც ორი ვაჟი ჰყავდა, ერთი მას მისცა, მე ორი მყავდა, ერთი მივეცი, ერთიღა დამრჩა. და ახლა რიგმა კვლავ მე მიწიბ. იმასაც მთხოვენ. ო, ხანო ჩემო, მიშველე რამე!”

ბასათს დაბინდულ თვალეებზე ცრემლი მოერიბ. ძმის გამო მოსთქვა, ხანო ჩემო, ვნახოთ როგორ მოსთქვა:”

შენი ოდები კლდეზე ნაგები
აღბათ იმ გულქვამ დაგიმნო, ძმაო!
სწრაფი ცხენები შენი თავლიდან
აღბათ იმ გულქვამ გარეკა, ძმაო!
შენნი აქლემნი იმ ჯორცხენებში
აღბათ იმ გულქვამ გამოარჩია, ძმაო!
სადოგარზე რომ ცხვრის ფარები ამოგიწყვიტეს,
აღბათ იმ გულქვამ დაწყვიტა, ძმაო!
სანლში რომ რძალი მოიყვანე განარებულმა,
აღბათ იმ გულქვამ გაგყარათ, ძმაო!
აღბათ თეთრწვერა ის ჩვენი მამა
“შვილო!”-ს ძანდით ატირე, ძმაო!
სანქათობა ჩემს დედას აღბათ
ტკივილით გული დასწყვიტე, ძმაო!
ო, მადალ მთათა მწვერვალო, ძმაო!
სწრაფი მდინარის დინებაჲ, ძმაო!
ჩემი მხარ-ბეჭის ძლიერებაჲ და
ღამე ჩამდგარი ჩემი თვალების სინათლეჲ, ძმაო!”

“ძმა დაგკარგეო!”- დიდნანს გოდებდა. ბასათმა იმ ქალს ერთი ტყვე მისცა. “წადი შვილი გადაარჩინე!”-ო უთხრა.

ქალმა ის ტყვე წამოიყვანა და თავისი ვაჟის სანაცვლოდ მისცა, თანაც არუხს ანარა- “ვაჟი ჩამოვივიდა!”-ო. არუხს გაეხარდა. ოღუზის სწვა ბეკებმაც მონანულეს ბასათი. ბასათი მამას სკლზე ემთხვია. მოთქმა-გოდებით იტირეს. იგი დედის სანლში მივიდა. დედა შვილს დაწვდა და გულში ჩაიკრა. ბასათი დედის სკლს ემთხვია. შეწვდნენ და აქვითინდნენ. ოღუზის ბეკები შეიკრიბნენ. ჭამა-სმის მეჯლისები გაიმართა. ბასათმა სთქვა:” ბეკებო, ძმის სისწლი უნდა ავიღო, ამიტომაც მინდა თაფაგოზს შევწვდე. რას იტყვით?”

აქ გაზან ბეკი გამოესიტყვა, განათო, ხანო ჩემო, როგორ გამოესიტყვა:

ნამდვილ გიგანტად იქცა თაფაგოზი,
ცაში ამოვატრიალე და ვერ წავაქციე, ბასათ!
დიდ ავ ქოფაკად იქცა თაფაგოზი,
მაღალ მთებში დავატრიალეთ და ვერ წავაქციე,
ბასათ!

ცოფიან ლომად იქცა თაფაგოზი,
სქელ ლელიანში ვერ წავაქციე, ბასათ!
ჯიგითობა კარგი რამეა,
მაგრამ ჩემზე ძლიერი ვერ იქნები, ბასათ!
ნუ აატირებ თეთრწვერა მამას!
ნუ ააქვითინებ თეთრომიან დედას!

ბასათმა მიუგო: "უცილოდ უნდა წავიდე!" გაზანმა უთხრა: "შენ იცი!" მამამ შესტირა: "შვილო, თჯანს უპატრონოდ ნუ მიმოტოვებ, წყალობა მიყავ, ნუ წახვალ!" ბასათმა მიუგო: "არა, ჩემო ძვირფასო, თეთრწვერა მამავ, მივდივარ!" მამას არ გაუგონა, სამოსის სახელურიდან ერთი ბლუჯა ისარი ამოიღო და წელზე დაიმაგრა. სმალიც შემოირტყა. მშვილდი მხარზე გადაიკიდა, კალთები აიკეცა, მშობლებს ხელებზე ემთხვია და გამოემწვიდობა: "მშვიდობით!" - უთხრა. პირდაპირ სალანანად წოდებულ იმ კლდეს მიმართა, სადაც თაფაგოზი იყო დაბინაგებული.

ნახა, თაფაგოზი ზურგით მზეს მიჰფიცებია და სძინავს. მაშინვე ერთი ისარი ამოიღო. თაფაგოზს მხარში დაუმიზნა და სტყორცნა. ისარ არ გაერჭო, შუაზე გადატყდა. კვლავ ესროლა, ისიც გადაიმხვრა. თაფაგოზმა მოსამსახურე მონუცებს უთხრა: "აქაუნობის ბუხებმა შეგვაწუნეს!" ბასათმა კვლავ სტყორცნა ისარი. ისიც გადატყდა. ისრის ერთი ნატენი თაფაგოზის წინ დაეცა. თაფაგოზი წამოსტა და გაიხედ-გამოისყდა. ბასათი დაინახა. ხელი-ხელს შემოჰკრა და გადაიხარხარა და მონუცებს უთხრა: "ოღუზებისგან კიდევ ერთი ჩაბუტკუნებულ-ჩასახრამუნებელი ბატკანი გვეწვია!" ბასათი წინ გაიგდო და შეიპყრო. ხელი ყელში ჩაავლო და იქ მოიყვანა, სადაც ეძინა. იგი ჩექმის საყელოში ჩაიტენა და თქვა: "მონუცებო, ეს შუადღეზე შემიწვიო, უნდა შევანრამუნო!" მერე კი კვლავ ძილს მიეცა.

ბასათს ხანჯალი ჰქონდა. ამოჭრა ჩექმის საყელო და ამოძვრა. მოსუცებს ჰკითხა:” მოსუცებო, ამისი სიკვდილის საიდუმლო რაშია?” უპასუხეს:” არ ვიცით!-ო. ის კი ვიცითო, თვალს გარდა რბილი არსად აქვსო.” ბასათი თაფაგოზის თმის კიდესკენ წამოვიდა. თვალის გუგა აუწია.

ჩახედა და ნახა, რომ სორცის თვალი აქვს. მოსუცებს მიმართა:” მოსუცებო, შუბი ცეცხლზე გაახურეთ!” შუბი ცეცხლში ჩააგდეს, მაგრად გახურდა.

ბასათმა გახურებული შუბი მოიმარჯვა. მაჰმადის მშვენიერი სახელი ახსენა, ლუცვის ნიშნად ხელი სახეზე გადაისახა და შუბი თაფაგოზს ისე ატაკა რომ ერთბაშად თვალი დასთხარა. თაფაგოზმა ისე დაიკვილა, ისე დაიღრიალა, რომ მთები შეზანზარდნენ. ბასათი ვადმოსტა და გამოქვაბულში ცხგრებს შეკერია. თაფაგოზი მიხვდა, რომ ბასათი გამოქვაბულშია. გამოქვაბულის გასასვლელში ჩადგა. ერთი ფეხი კარის ერთ მხარეს, მკერე კი მეორე მხარეს მიაბჯინა. კარი მთლიანად გადახურვა და თქვა:” ეი, ცხგართა მეთაურთ ყოჩებო, სათითაოდ გამოდით!” ყოჩები სათითაოდ გამოვიდნენ და მას ფეხებშუა გაუძვრნენ. ოგი ყველას თავზე ეაღვრებოდა:” ჩემო თოდლებო, ჩემო ავლა-დიდებავ ყოჩებო, გამოდით!”-ო

მიმართავდა. ერთი ყოჩი წამოდგა, აქით-იქეთ ურქინა და წინ გაიჭრა. ბასათი მყისიერად სწვდა ყოჩს, წა-

მოაქცუა და ყელი გამოსჭრა. გატყავა, ოღონდ ყოჩის თავი და დუმა ტყავს შეატოვა. ბასათი ტყავში შეძვრა და გასასვლელში თაფაგოზს წარუდგა. თაფაგოზი მიხვდა, რომ ბასათი ცხვრის ტყავშია. უთხრა:” შუბლა ყოჩო, შენ რა იცი, რომ მე დაფიდუბები? ისე შეგანარცხებ გამოქვაბულის კედელს, რომ დუმიოთ გამოქვაბულს გაქონავ?” ბასათმა ყოჩის თავი თაფაგოზის სელებსკენ გაიშვირა. თაფაგოზმა სელი რქაში მაგრად ჩააფლო. როცა ასწია, სელში მხოლოდ რქა და ტყავი შერჩა. ბასათი თაფაგოზს ფეხებში გაუძვრა და კარში გასწლტა. თაფაგოზმა რქა ძირს დაანარცხა და თქვა:” ვაჟო, გადარჩი?” ბასათმა მიუგო:” ჩემმა უფალმა გადამარჩინა!” თაფაგოზმა უთხრა, აიდე ეს ჩემი ბეჭედი და თითზე წამოიცვი, რომ ისარმა და სმალმა ვერაფერი დაგაკლოს!”

ბასათმა ბეჭედი თითზე წამოიცვა. თაფაგოზმა ჰკითხა:” ვაჟო, ბეჭედი აიდე და თითზე წამოიცვი?” ბასათმა უპასუნა:” წამოვიცვი!” ამ დროს თაფაგოზი ბასათს მიუწტა და სანჯალი მოუქნია. ბასათი განზე განტა და დაინანა, რომ ბეჭედი კვლავ თაფაგოზის ფეხებქვეშ გდია.

თაფაგოზმა ჰკითხა:” გადარჩი?” ბასათმა მიუგო:” ჩემმა უფალმა გადამარჩინა!” თაფაგოზმა ჰკითხა:” ვაჟო, სედავ იმ გუმბათს?” უპასუნა:” ვსედავ!-ო. თაფაგოზმა უთხრა:” იქ მე სანინა მაქვს. წადი, ჩაკეტე, რომ იმ მოხუცებმა არ

წაიღონ!” ბასათი შეკვიდა გუმბათში და დაინახა, თქრო-
ვერცხლის სროვაა. ეს რომ იწილა, ყველაფერი გადააფი-
წყდა. თათაგოზმა გუმბათის კარი ჩახსენვა და ჰკი-
თხა: “შენ გედი გუმბათში?” “შეკვიდი!-თ მიუგო ბასათმა.
თათაგოზმა უთხრა: “ანლა ისე დაგარტყამ, რომ გუმბა-
თიანად მიწასთან გაგასწორებ!” ბასათმა: “არ არის ღმ-
ერთი თვინიერ ალაპისა, მაჰმადი მისი მოციქულია!”-თ
წარმოსთქვა. იმ წამში გუმბათი გაიყო და შეიღ ადგი-
ლას შეიდი კარი განიხვნა. ბასათი ერთ-ერთი კარიდან
გამოვიდა.

თათაგოზმა სელი გომბათში შეყო. ისე დაჰკრა, რომ
ნაკუწებად დაიშალა. თათაგოზმა ჰკითხა: “ვაჟო, გადარ-
ჩი?” ბასათმა უპასუხა: “ჩემმა უფალმა გადამარჩინა!”-თ.
თათაგოზმა უთხრა: “შენ ხომ უკვდავი ყოფილხარ. იმ
გამოქვაბულს სედავ?” ბასათმა მიუგო: “ვსედავ!” იმან
უთხრა: “იქ ორი სმალია, ერთი ქარქაშიანი, მეორე უქარ-
ქაში. მე მსოფლიდ ის უქარქაში სმალი მომკვებოს თავს.
მიდი ის აიღე და თავი მომკვებო!”

ბასათი გამოქვაბულის კართან მივიდა. დაინახა,
ერთი უქარქაში სმალი განუწყვეტლივ ქანაობს. ბა-
სათმა გაიფიქრა: “ამასთან სიფრთხილე მმართებს!” თავის
სმალი იშიშვლა და უქარქაში სმალს დაახვედრა.

მისი სმალი ორად გაიპო. გავიდა და ერთი სე შემოი-
ტანა, მოქანავე სმალს მიუშვირა. სმალია ისიც გააპო.
მაშინ მან მშვილდ-ისარი მოიმარჯვა და ერთი ტყორც-

ნით გაწყვიტა ჯაჭვი, რომელზეც **ნმალი** ეკიდა. **ნმალი** ძირს ჩამოვარდა. ბასათმა თავისი **ნმალი** ქარქაშში ჩაავთ და იმ **ნმლის** ვადას **ნელი** მაგრად ჩაავლო. მთვიდა და **ჰკითხა**: "ეი, თაფაგოზო, როგორა **ნარ**? თაფაგოზმა უთხრა: "ვაჟო, ჯერაც არ მომკვდარხარ?" ბასათმა უბასუნა: "ჩემმა უფალმა გადამარჩინა!" თაფაგოზმა უთხრა: "შენ სიკვდილი არ გიწყენია!"

თაფაგოზმა **ნმით** სთქვა და **ვნახოთ** რა სთქვა:

თვალი, მხოლოდ ჩემი თვალი!

თვალის გამო მაქციე შენ ოღუზების ტყვედ და მონად!

შენ გამყარე ჩემს ჭროლა თვალს, თ ჯიგიტო!

ღმერთმა შენ ტებილ სულს გაგყაროს!

როგორც ანლა ჩემს თვალს ვდარდობ,

უფალმა დღეს არცერთ ჯიგიტს არ აღინოს

მჭვრეტი თვალი!

თაფაგოზმა კვლავ დააყოლა:

სიდან მონველ, შენ ჯიგიტო, სადა მყოფობ?

უკუნში რომ გზა დაგებნეს, საით წახვალ?

დიდი დროშით ვინ მიგოდღვით, ვინ გყავთ **ნანად**

ბრძოლის ველზე?

თქვი რა ჰქვია თეთრწვერება მამაშენსა?
სირცხვილია სახელი არ გაუმნილოს კაცმა კაცსა.
თქვი,ჯიფიტო, თქვი, რა გქვია!

ბასათმა თაფაგოზს მიუგო, გნანოთ, ხანო ჩემო, რა
მიუგო:

გუნოროთაჯი ჰქვია ადგილს, სადაც გცნოვრობ!
სიბნელეში გზას თუ ვკარგავ, დმერთის იმედს არა
ვკარგავ!
დიდი დროშა უკავია ბაადურ ხანს!
ბრძოლის ველზე გმირად ვრაცნავთ საღურ გაზანს!
თუ იკითხავ დედის სახელს,- მკვრიფი ხეა!
მამაჩემსაც თუ იკითხავ,- ლომი განლაგს!
სახელს მკითხავ,- არუზ ოღლი ბასათი ვარ!

თაფაგოზმა უთხრა:

“მუძუმტე ვართ, ნუ მიმეტებ სასიკვდილოდ!”

ბასათმა მიუგო:

შე ჭკვაკუტო, თეთრწვერება მამაჩემი ამიტორე,
თმაქათიბა დედაჩემი გამიმწარე.
და დვიდლი ძმა ვიამ სელჯუკი მომიკალი,

და ლამაზი როალი ესე დაგვიქვრივე.
ჭროლათვალა ძმისწულები დამიობლე.
სანამ ამ ბასრ ფოლადის ნმალს არ მოვიქნევ,
და სანამ მაგ თავს არ მოგაკეთ ფაფანთანს,
და სანამ შენს სისნლს არ დაგღვრი ამ მიწაზე,
სანამ ჩემი ვიამის შურს არ ვიძიებ,
მე ვერაფრით მოვისვენებ,
ვერ გაგიშვებ ვერე ცოცხალს, ვერ გაგიშვებ!
აქ თაფაგონმა ასე მიუვთ:

ფფიქრობდი, ერთი წამოვდგე-მეთქი,
ოლეუზ ბეკათავის მიცემული ჩემი პირობა
დავარღვიო და მოვსპო მათ სელში მიმინოები.
ო, ერთსელ მაინც კარგად გამოვძლე კაცის
სორციოთა.

ოლეუზთა ბეკნი კვლავ ჩემზე თუ გაილაშქრებენ,
გამბობდი, წავალ დავიძალები სალახანას
მაღალ კლდეებში
და დიდ ქვეებს ვესერი დიდი მჯიღებით.
გამბობდი, ციდან ქვა დამეცემა და მე
იმ ქვით მოგკვდები ბოლოს.
შენ წამართვი თვალის ჩინი, ოი, ჯიფიტო,

შენ გამყარე ერთად-ერთ იმედს – ჩემს ჭროლა
თვალსა,
აგრემც უფაღმა მაგ ტუბილ სულისა გაგყაროს შენა!

თაფაგოზმა კვლავ სთქვა:

თეთრწვერება მოხუცები ბევრჯერ ამიტრეობა,
იმ თეთრ წვწრთა ცოდომ სომ არ მოგიწია,
ჩემო თვალო?

თმაქათობა დედაკაცნიც ბევრჯერ ამიტრეობა,
თვალცრემლიან იმ დედათა ცოდომ სომ
არ მოგიწია,

ჩემო თვალო?

მიჭამია ძალზედ ბევრი ანაღვაზრდა,

წვერ-ულვაში ჯერაც რომ არ ამოსვლოდა.

იმ ჭაბუკთა ცოდომ სომ არ მოგიწია, თვალო ჩემო?

მიჭამია ძალზედ ბევრი თითო გოგო,

ხინიანი მაგ ხელების ცოდომ სომარ მოგიწია,

თვალო ჩემო?

ანლა როგორც ვიტანჯები დათხრილთვალის

ტკივილითა,

ღმერთმა არვის არ არგუნოს თვალის ტვირთი,

თვალის დარდი!

ბასათი განრისნდა, წამოდგა და მასთან მივიდა. თაფაგოზი მამალი აქლემივით მუხლებზე დასცა. ჯივტიმა მას მისივე ხმლით მოკვეთა თავი. მოკვეთილი თავი მწვილდის კავს წამოაცვია და გამოქვაბულის კართან მიათრია.

ბასათმა ბუნლუ გოჯა და იაფაგლი გოჯა მასწართლად გაგზავნა ოღუზთა სამფლობელოში. ისინი თეთრრუნ ცხენებს შემოაჯდნენ და გაჰქუსლეს. ოღუზთა მამულში ხმა დაიწნა.

ცხენისპირა არუზის ხანლში ყასიდი მივიდა. მას ბასათის სასინარულო ამბავი აუწყია: "სამასწართლო! თაფაგოზი მოკლა შენმა ვაჟმა!"

ოღუზის დიდი ბეკებიც დაიძრნენ. საღანანა კლდე-თან მივიდნენ. წრე შეკრეს და თაფაგოზის მოჭრილი თავი შუაში ჩამოდეს. დედე გორგუდი მოვიდა და მსწარული მელთდია დაუკრა. უშიშარი ჯივტიების მრავალი თვგადასავალი მოყვა. აგრეთვე ლოცვა-კურთხევა აღუვლინა ბასათს.:

როცა შავ მთას მიადგები, მთა განისწნას და გზა მოგცეს!

ადიდებულ მდინარეებზე თუ გადახვალ, წყალი ორად გაიპოს და გზა გაგისწნას! ძმის შური ჯივტიურად იძიე! უბედურებისგან იხსენი დიდი ოღუზი ბეკები! ყოვლისშემძლე ღმერთმა პირნათელ გყოს, ბასათ!-ო უთხრა.

თქვენც ლოცვა-კურთხევა ნუ მოგაკლდებათ, ხანო ჩემო:

როცა სიკვდილი გეწვევათ, წმინდა რწმენა არ მოგირღვით!

ცოდვანი უნეტარესი მაჰამადის, ანუ მუსტაფას გამო შეეინდოს, ხანო ჩემო, ჰეი!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა

იმირ მამედლიძე



ინფორმაცია “დედე გორგუდის წიგნის” შესახებ

აზერბაიჯანში, რომელიც კასპიის ზღვის სანაპიროზეა გადაჭიმული და აერთიანებს რა აზიისა და ევროპის კონტინენტებს და სადაც იუნესკოს მიერ დაცულია მრავალი ისტორიული ძეგლი, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში, საუკუნეების მანძილზე მშვიდოდიანად თანაცხოვრობს, თავის კულტურას, ენასა და ადამ-წესებს იცავს ათობით ეთნიკური ჯგუფი, **სალხი** და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი.

უთვალავია ეპოსი, ზღაპარი და სხვა ფოლკლორული ნიმუში, რომელიც უძველესი დროიდან ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა **სალხებმა** აზერბაიჯანულ-თურქულ ენაზე შექმნიეს. და ოდითგანვე ეს ენაა მათი ერთად-ერთი საურთიერთო ენა. ისინი თვალის ჩინივით უფროსილდეებიან თავიანთ სულიერ და კულტურულ ფასეულებებს.

“დედე გორგუდის წიგნი” სწორედ ამ რიგის არამატერიალური კულტურული ძეგლი გახლავთ. აღნიშნული ეპოსი სამეცნიერო წრეებს პირველად 1815 წელს გერმანელმა ადმოსავლეთმცოდნემ ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცმა გააცნო.

მანვე გერმანულ ენაზე თარგმნა აღნიშნული ეპოსის ერთი თავი, წინასიტყვაობა დაურთო და ბერლინში გამოაქვეყნა.

2000 წელს აზერბაიჯანში იუნესკოს დონეზე აღინიშნა “დედე გორგუდის წიგნის” 1300 წლისთავის იუბილე. ამასთან დაკავშირებით აზერბაიჯანელი ხალხის საყოველთაო ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა განაცხადა: “დედე გორგუდის წიგნი”, რომელიც აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიის, ეთნიკური მქსიერებისა და არქაული ცნობიერების სარკეა, როგორც ჩვენი მეტყველების, ენის, სულიერებისა და სულის სიმდიერა უდიდეს კულტურულ-ესთეტიკურ მნიშვნელობას იქნს.”

“დედე გორგუდის წიგნი”, როგორც ეპოსის ნიმუში 12 მოთხრობისა და შესავალისგან შედგება. აღნიშნულ მოთხრობებში საუბარია თღუზ რაინდთა სამიერთ ამბებზე.

დედე გორგუდი, რომელიც ეპოსს მოგვითხრობს, აზერბაიჯანელთა ჰომეროსია და ამ უაღრესად დღეგრძელმა ბრძენმა თხანმა კარგად იცის აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიული წარსული. ეპოსის თვითეული თავი მდიდარი მნატრული ფერებით გვინატავს და სოტბა-დიდებას ასწამს აზერბაიჯანელი ხალხის მითეოლოგიურ მსოფლმხედველობას, ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, ბრძილას, ყოფა-ცხოვრებას, ენას, სარწმუნოებასა და კულტურას.

ბოლო 200 წლის მანძილზე “დედე გორგუდის” წიგნს, როგორც უძველეს ეპოსს გერმანელმა, იტალიელმა, რუსმა, თურქმა, ჰოლანდიელმა, ინგლისელმა, გენერეელმა და ფრანგმა მქცნიერებმა, მსოფლიოს უცნობილესმა თურქოლოგებმა არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა უძღვნეს და ეპოსის სწგადა-სწგა ქვეთავები, თუ პერსონაჟები ძველ ბერძნულ და

რომაული მითოლოგიის პერსონაჟებსაც კი შეადარეს და ფონ დიცევით რიგ შემთხვევაში “დედე ვორგუდს” მიანიჭეს უპირატესობა, როგორც მათზე უფრო ძველ ისტორიულ ძეგლს. იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული ძეგლი ფილოლოგიური თვალსაზრისით სწვა ხალხების იტორიულ ეპოსებსაც ეწმინება, იგი სწვადა-სწვა სფეროში მოღვაწე სპეციალისტების, მაგალითად გერმანისტებისა და სლავიანისტების ინტერესის სფეროში მოაქცია.

”დედე ვორგუდის წიგნი”, რომელიც აზერბაიჯანელმა ხალხმა შექმნა, თავისი ჰუმანიზმით, კოლორიტულობით, მშვედობისმოყვარეობითა და საყთველთათ თანაცნოვნების იდეით მსოფლიო აზერბაიჯანისა და თურქული სამყაროს კუთვნილება როდია, იგი მთელი კაცობრიობის საგანძურია.

სერრაფ ბაღანანი



ინფორმაცია ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცის შესახებ

გამოჩენილი გერმანელი დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცი დაიბადა 1751 წელს გერმანიის (პრუსია) ბრენბურგში ადგილობრივი ვაჭრის ოჯახში. 1769 წელს იურიდიული განათლების მიღების მიზნით ჰალეს უნივერსიტეტში მოეწყო. მასშემდეგ რაც აკადემიური განათლება მიიღო, 11 წლის განმავლობაში მაგდებურგის პროვინციული სკლისუფლების განკარგულებაში მუშაობდა.

და აქ განსაკუთრებული ნიჭის წყალობით რეფერენტობიდან კანცლარის გამგის თანამდებობამდე დაწინაურდა.

1784 წლის 16 მაისი, როცა იგი მეფე უფროსი ფრიდრიხის მიერ თურქეთის საელჩოში მრჩევლად იქნა გამწესებული, თურქოლოგიისა და გორგუდოლოგიის მომავლი ბედის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი დღეა. ფონ დიცმართმელსაც აღმოსავლეთმცოდნეობის სფეროში სპეციალური განათლება არ მიუღია, აღმოსავლური ენები, ბუნებრივია, უპირველესად თურქული ენა სტამბოლში საელჩოში მოდგაწყოების პერიოდში შეისწავლა. 1786 წელს მეფე ფრიდრიხ უილიამ II მას არისტოკრატიულ წოდებას ანიჭებს. ამ დროიდან იგი პრუსიის თურქეთში გამწესებულ მინისტრად და საგანგებო

უფროს ელჩად ინიშნება. თურქებისადმი დიდი სიყვარულისა და განსაკუთრებული ნიჭის წყალობით თურქეთში დაყოფილი 6 წლის განმავლობაში არაერთი უიშვიათესი აღმოსავლური ხელნაწერი მოიძია. თავად დიცის დამოწმებითა და ენციკლოპედიური მონაცემებით მის ბიბლიოთეკაში 17 ათასი წიგნი და 856 ხელნაწერი ინახებოდა. ხოლო აქედან 407 ხელნაწერი სწორედ აღმოსავლეთს შეეხებოდა. მისი ანდერძის თანახმად მთელი მისი ბიბლიოთეკა ბერლინის წიგნთსაცავს გადაეცა.

ფონ დიცი, რომელიც 1790 წელს თავის დიპლომატიურ მისიას აგვირგვინებს. რეკვე სამშობლოში დაბრუნებული თურქულ, არაბულ და სპარსულ ენებზე შეგროვებული ხელნაწერების წარდგინებას იწყებს. იგი 1811 წელს “გობუსნამეს” გამოსცემს, ხოლო 1811-1815 წლებში “აღმოსავლურ ძეგლთა რჩეული ხელნაწერების” სახელწოდებით მთელ თავის აღმოსავლურ ხელნაწერებს აქვეყნებს. აღნიშნულ ხელნაწერთა შორის თავად ფონ დიცისეულ თარგმანში მოცემულია ისეთი ნიმუშები, როგორიცაა შეის მაჰმად ლალეზერის “მიზანი ეზჰარი”, ბუზრი ჯუმჰურის “მუზაფარნამე”, ქათიბი რუმის “მირათ-ულ-მეჰალიქი”, “ოღუზური წიგნი”-აფორიზმები, ოღუზნამე და “დედე გორგუდის წიგნიდან” მოთხრობა, რომელსაც “ბასათის მიერ თაფაგოზის მოკვლის ამბავი” ეწოდება. ამგვარი ქმედებით ფონ დიცმა დიდი გერმანელი მთარგმნისა და პოეტის ვოლფგან გოეთეს ყურადღება და პატივიც კი დაიმსახურა. იოჰან ვოლფგან ფონ გოეთე თავის “აღმოსავლეთის და დასავლეთის დივანისადმი” (სამსჯავრო ი.მ.) დართულ “შეინიშვნებისა და მსჯელობანის” ნაწილში

ფონ დიცს, იმ გამორჩეული როლისათვის, რომელიც მან ამ დიდი პოეტის შემოქმედებაში ითამაშა, ცალკე თავს უძღვნის. და ამით იგი მისდამი დრმა პატივისცემასა და მადლიერების გრძნობას გამოხატავს.

იმ პერიოდში მან პრუსიის ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად, როგორებიცაა ფრიდრიხ აგგუსტი, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტი, შლეგელი და ძმები გრიმები, გერმანული მეცნიერების განვითარებაში თავისი უდაო წვლილი შეიტანა, რითაც გერმანული კომპარატივისტიკის ფუძემდებელთაგანი გახდა.

1814 წლიდან ჰ.დიცის შემოქმედების “დედე გორგუდის წიგნის” პერიოდი იწყება. თავისი ხელით გადაიღო ასლი “დედე გორგუდის” წიგნისა, რომელიც დრუზდენის სამეფო წიგნთსაცავში ინახებოდა და მანამდე არავის ყურადღებას იქცევდა, თავის ხელთარსებულ ეგზემპლარს შეადარა, იქიდან “ბასათის მიერ თაფაგოზის მოკვლის ამბავი” თარგმნა, წინასიტყვაობა დაურთო და გამოაქვეყნა. და ამით გერმანელმა მეცნიერმა ოლუზური ეპოსი მსოფლიო მეცნიერებას გააცნო. შეადარა რა ეპოსის ერთ-ერთი პერსონაჟი- თაფაგოზი ჰომეროსის ციკლოპს, დრმა ანალიზის შედეგად იმ აზრს მიემხრო, რომ თაფაგოზი პოლიფემთან შედარებით უფრო არქაული სახეა.

ადმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის ფონ დიცი 1814 წელს პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული.

რეჟან ჰასანოვი



სასწავლო საძიებელი

1. **ბრელატი** - კათოლიკურ ეკლესიაში უმაღლესი სასულიერო თანამდებობათაგანი
2. **ცეკლოში** - მთიური გიგანტი, რომელსაც შუბლზე ერთი თვალი აქვს
3. **ფოლიანტი** - ფოლიის ფორმატის წიგნი, მისი ფურცლის ზომა ნორმალური წიგნის ფურცლის ნახევარს შეესაბამება
4. **ბაული** - მუნისი ხალხი, პაულუსი- მუნსები
5. **გაია** - სინამდვილეში გაია უნდა იკითხებოდეს, თღუწებში ტომის სასწავლო
6. **შტრიტერი** - გერმანელი ადმოსავლეთმცოდნე და ისტორიკოსი. სრულად: იოჰან გოთჰელფგან შტრიტერი (1740-1801)
7. **დევუნგესი** - ჟოზეფ დე გუნგესი (1721-1800). რანგი ადმოსავლეთმცოდნე და ისტორიკოსი
8. **იკონიუმი** - თურქეთის ანკლანდელო კონიის მხარე
9. **თქუსი** - ძველ ისტორიულ წყაროებში- თქსი, ჯეიპუნი (არაბებში), ანკლანდელო ამუდარიის მხარე

10. **პლიფეში** - ციკლოპი, ანუ თაფავოზი
11. **არგესი** - ძველი ბერძნული მითოლოგიური ციკლოპ-თავანი
12. **ბრონტესი** - ძველი ბერძნული მითოლოგიური ციკლოპთავანი
13. **ჯეტლუსი** - ბერძნულ მითოლოგიაში ცის ღმერთი ურანის
14. **ლეფარა** - კუნძული საბერძნეთში
15. **ამოლო** - ძველ ბერძნულ მითოლოგიაში და სარწმუნოებაში მზე, სინათლე, სიბრძნის ღმერთი და ნელოფენების მფარველი. ზევსისა და ლეთანუს ვაჟი
16. **მაკრობოუსი** - ამბროსიუს თეოდოსიუს მაკრობუსი (395-430) ძველი რომაელი ფილოსოფოსი და ენათმეცნიერი
17. **ციკერონი** - მარკ ტულუსი, რომაელი ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე და ფილოსოფოსი (ძვ.წ. 106-ჩვ.ე. 43)
18. **არგთისი** - ბელეგონესში, ძველ საბერძნეთში ქალაქი
19. **ლიკია** - სასკელმწიფო მცირე აზიაში, სიტყვა-სიტყვით: სინეილის ქალაქი.
20. **სტრაბონი** - ბერძენი ისტორიკოსი, გეოგრაფი (ძვ.წ. 64/63-ჩვ.ე. 23/24)
21. **ნაუფლა** - ქალაქი საბერძნეთში

22. **ჰომეროსი** - ძველი ბერძენი პოეტი, პოემების-
“ილიადა” და “ოდისეის” ავტორი. (ძვ.წ.12-11-
საუკუნეებში ცნობილია)
23. **თრინაქრია** - ანლანდელი სიცილია
24. **ფჰონიქიები** - ფინიკელები
25. **ლილიბეიში** - ყურეს სასელწოდებაა
26. **ეთნა** - მთის სასელწოდებაა
27. **ფარაგლიონი** - კუნძული, რომელზეც ციკლოპები
ცნობილიდნენ
28. **კატანა** - პროვინცია იტალიაში
29. **გალი დი დემონე** - დემონთა სამფლობელო, სეობა.
კატანას ჩრდილოეთით მდებარეობს
30. **ნებტუნი** - რომაულ მითოლოგიაში ზღვის ღმერთი
31. **ნიმფე თოზა** - ზღვის ნიმფა თოზა
32. **ამფიდრითე** - პოსეიდონის მეუღლე
33. **ნიმფე შტილდე** - ვითომ პოლიფემის დედა
34. **ამინონე** - ვითომ პოლიფემის დედა
35. **ელატუსი** - ვითომ პოლიფემის დედა
36. **არგონავტები** - არგო ვემის სასელწოდებაა,
არგონავტები ეწოდება მათ, ვინც იასონის
მეთაურობით ოქროს საწმისისათვის კოლხეთში
ჩავიდნენ

37. **პლატონი** - (პლატონი) ძველი ბერძენი იდეალისტი ფილოსოფოსი (ძვ.წ.428/7-348/7)
38. **აქლიანი** - (კლაუდიუს აქლიანუს)-(170-222) რომაელი ფილოსოფოსი, რიტორიკის მასწავლებელი
39. **თეოფილოს ფონ ედესა** - (695-785) სურთიკელი მცნაური ედესიდან (დღევანდელი ურფა- თურქეთი)
40. **ფაბრიციუს პირონუმუს** - იტალიელი მცნაური 1537-1619
41. **დიო ქრისტოსტომუსი** - (344-407) კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსი. უაჰონეს ქრისტოსტომოს, ანუ ელიჰანეს ფონ ანტიოქია
42. **ფრამბი** - პექტონისა და ფარისინის მამა. ტროას მუფე



**ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცის- “ჰომეროსთან
შედარებით ანლად აღმოჩენილი ოღუზური
ციკლოში”- შესავალი სიტყვისა და “ბასათის
მიერ თაფაგოზის მოკვლის ამბავის” მთარგმნელები**

1. **აზერბაიჯანული ენა** - თელმან ჯაზუმოვი (ბაქოს
სლავიანური უნივერსიტეტის დოცენტი)
2. **გერმანული ენა** - ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცი
(გამოჩენილი გერმანული აღმოსავლეთმცოდნე და
დიპლომატი)
3. **აფარული ენა** - ჯამილა ქეისეროვსკაია (აემა-ს* ნასიმის
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-
თანამშრომელი)
4. **ჩინური ენა** - ლეი ჩენი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის
ვაზეთ ჩინელი ახალგაზრდების” თანამშრომელი)
5. **სომხური ენა** - ვაფარ ჩანშაგლი (თურქეთის ერჯიეს
უნივერსიტეტის დოცენტი, ეურნალისტი)
6. **არაბული ენა** - აჰმედ სამი (ეგვიპტის ეინ შემსის
უნივერსიტეტის დოცენტი, აზერბაიჯანში ეგვიპტის
კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი)

*აემა- აზერბაიჯანის ერთგული მეცნიერებათა აკადემია

7. **სპარსული ენა** - მოჰსუნ ნდისილუ (აემა-ს წევრ კორუსპოდენტო, პროფესორი) შექალა აბდულაევა (აზერბაიჯანის პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოს პოლიტიკური დოკუმენტების არხივის მრჩეველი)
8. **ფრანგული ენა** - მიშელ ბოზდემარი (საფრანგეთის ინალკოს* უნივერსიტეტის პროფესორი)
9. **ქართული ენა** - იმირ მაძედლი (პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი)
10. **ინდური ენა** - სუდჰა სეარნაკარი (ბრაზილიის ფარაბობა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი),
11. **ხინაღიური ენა** - ზაქირ ალაევი (აზერბაიჯანის ხინაღიის სათემის წარმომადგენელი, მთარგმნელი)
12. **ინგლისური ენა** - ანა ტომსონი (მწერალი და მთარგმნელი)
13. **იტალიური ენა** - დანიელ ფრანზონი (იტალიის გენუას უნივერსიტეტის თანამშრომელი, მთარგმნელი)
14. **ქურთული ენა** - ფანრადდინ ფაშაევი (აზერბაიჯანის ქურთული კულტურის ცენტრის- რინაპის თავმჯდომარე, მთარგმნელი)
15. **ლეკური ენა** - სადევეთ ქაზუმოვა (აზერბაიჯანის ვაზეთ "საძურის" მთაფარი რედაქტორი, მწერალი, პუბლიცისტი)
16. **გენგრული ენა** - ერდელი მელინდა (გენგრიის ეთნოს ლორონდის უნივერსიტეტის დოცენტი, თურქოლოგი)

*ინალკო- საფრანგეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული ენებისა და ცივილიზაციების ინსტიტუტი

17. **რუსული ენა** - სეიფალი ჰასანოვი (ბაქოს სლავიანური უნივერსიტეტის დოცენტი)
18. **თურქული ენა** - ფიქრეთ თურქშენი (თურქეთის ევკს უნივერსიტეტის პროფესორი)
19. **თალიშური ენა** - მეჰმან გონშაზოდლეუ (პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი)
20. **თათური ენა** - რეშენდე ბაირამოვა (აზერბაიჯანის თათური თემის წარმომადგენელი, ისტორიკოსი)
21. **უდინური ენა** - ნობერტ მობილი (აზერბაიჯანის “ალბანურ-უდინურ - ქრისტიანური” სათემოს წევრი, სკოლა დირექტორი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი) რაფიგ დანაგარი (აზერბაიჯანის “ალბანურ-უდინურ-ქრისტიანული სათემოს” წარმომადგენელი, მთარგმნელი)
22. **უკრაინული ენა** - მეჰმან ხალმანოვი (უკრაინის ეროვნული ტელემაუწყებლობის თანამშრომელი, მთარგმნელი) ილენა სემსნუკა (უკრაინის ეროვნული ტელემაუწყებლობის ლიტერატურული რედაქტორი)
23. **იაპონური ენა** - ტაკაუკი იტოტა მურაკამი (იაპონიის თასაკას უნივერსიტეტის პროფესორი)
24. **ბერძნული ენა** - საიდა მეჰდიევა ((ბაქოს სლავიანური უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, აზერბაიჯანის ბერძნული საზოგადოება “არგოს” თავმჯდომარე)
25. **ებრაული ენა** - თერანე ჰუსეინბაღაევა (ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი) ჰადას მელეხი (ისრაელის 3-სკოლის მასწავლებელი, მთარგმნელი)

სარჩევი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის
ილჰამ ალიევის განკარგულება4

ფონ დიცისადმი სიყვარულით (შესაგალი).....9

ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცი

ჰომეროსთან შედარებით ანლად აღმოჩენილი
ოღუზური ციკლოპი.....13

“ბასათის მიერ თაფაგოზის მოკვლის ამბავი”43

ინფორმაცია “დედე გორგუდის წიგნის” შესახებ.....65

ინფორმაცია ჰეინრიხ ფრიდრიხ ფონ დიცის შესახებ...68

სანკლთა სამიუბელი.....71

მთარგნელები.....75

*Production Editor - Alish Aghamirzayev
Designer - Metanet Garakhanova*

Published: 05. 11.2015. Format: 70x100: 1/32. Print: 1000.

*«Mutarjim» PPH,
Az1014, 125, Rasul Rza str., Baku, Azerbaijan
Phone.: (+994) 596 21 44, e-mail: mutarjim@mail.ru
www.mutercim.az*